



ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა შეყილაძე

28 მარტი 2022 წელი

N16/36

გზ. NI

დისტანციური სწავლება საჯარო სკოლებში
ეფექტიანობის აუდიტი

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	4
შემაჯამებელი მიმოხილვა	5
1. შესავალი	8
1.1 აუდიტის მოტივაცია.....	8
1.2 აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვები.....	9
1.3 აუდიტის კრიტერიუმები	10
1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია	11
2. ზოგადი ინფორმაცია.....	13
2.1 სფეროს აღწერა	13
2.2 დისტანციური სწავლების მოდულები.....	14
2.3 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამები	16
2.4 საერთაშორისო პრაქტიკა	18
აუდიტის მიგნებები	22
3. მზადყოფნა დისტანციურ სწავლებაზე გადასასვლელად.....	24
3.1 დისტანციური სწავლებისთვის საჭირო რესურსებზე ხელმისაწვდომობა	24
3.2 ლიცენზიების ათვისება.....	26
3.3 დისტანციური სწავლებისთვის მასწავლებელთა მზადყოფნა	29
4. პანდემიით გამოწვეულ მდგომარეობაზე რეაგირება	33
4.1 ტელესკოლის მართვა.....	33
4.2 რეაგირების სხვა ღონისძიებები	36
5. პანდემიის გრძელვადიანი შედეგების მართვა	40
5.1 დაგეგმვა და შეფასება.....	40
5.2 მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა რეგიონებში – გამოცდილების გამოყენება.....	42
ბიბლიოგრაფია	49

ტერმინთა განმარტება

სამინისტრო – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

მინისტრი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ცენტრი – სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

EMIS (ემისი) – სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

პანდემია – ახალი კორონავირუსით (Covid – 19) გამოწვეული პანდემიური ვითარება ქვეყანაში.

დისტანციური სწავლება – დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას მოსწავლისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას.



შემაჯავებელი მიმოხილვა

განათლების მიღება კონსტიტუციით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებაა,¹ ხოლო ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის – ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.²

პანდემიამ განათლების სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, საჭირო გახდა სასკოლო პროცესის დისტანციური სწავლებით ჩანაცვლება და ვირტუალურ სივრცეში გადატანა. საქართველოში 2020 წლის მარტიდან მოსწავლეების 96,8%-ს გაკვეთილები უტარდებოდათ დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით.³

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად, რამდენად უზრუნველყო ზოგადი განათლების სისტემამ საჯარო სკოლებში დისტანციური სწავლების ეფექტიანად წარმართვა. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენს პროცესის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე, კერძოდ:

- ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს ხელი არ მიუწვდება დისტანციური სწავლებისთვის საჭირო რესურსებზე – კომპიუტერებსა და ინტერნეტზე. სამინისტრო არ ფლობს სრულ ინფორმაციას ასეთი მოსწავლეების რაოდენობის შესახებ.
- დისტანციური სწავლების განსახორციელებლად სამინისტრომ ერთ-ერთ საშუალებად გამოიყენა პლატფორმა Microsoft Teams, რომლის ლიცენზიების შესყიდვა დაიწყო 2019 წელს. 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, დაბალი იყო მოსწავლეების მიერ ბონუს ლიცენზიების⁴ ათვისების მაჩვენებელი – 42%,⁵ ხოლო მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ათვისებული იყო ფასიანი ლიცენზიების 17,5% და 10%. ლიცენზიების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის, გააქტიურების გეგმისა და მონიტორინგის მექანიზმების ნაკლებობის პირობებში იქმნება რესურსის არაპროდუქტიულად გამოყენების რისკები.
- 2017 წლიდან 2021 წლის ივლისის ჩათვლით საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების 42% არ იყო ჩართული საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელებულ ტრენინგმოდულებში. ცენტრმა 2017 წლიდან დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება კომპიუტერული უნარების განსავითარებლად. მიუხედავად ამისა, პანდემიამდე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გადამზადებული იყო 15,000 პედაგოგი, რაც მასწავლებელთა 27%-ს შეადგენს.
- დისტანციური სწავლების ერთ-ერთ ფორმად გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით ტელეგაკვეთილების ჩატარებას. ტელესკოლის გაკვეთილები სრულად არ ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო საგანს. შესაბამისად, ის მოსწავლეები, რომლებიც მხოლოდ ტელესკოლით იღებენ განათლებას, კონკრეტულ საგნებში შესაძლოა დარჩნენ საგაკვეთილო პროცესის მიღმა.

1 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
2 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 3; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=79#>
3 საქსტატის გამოკვლევის შედეგები; https://www.geostat.ge/media/37537/MICS%2B_30.03.2021.pdf
4 ადმინისტრაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისათვის შესყიდულ თითოეულ ლიცენზიას ბონუსად მოჰყვა 40 ერთეული მოსწავლის ლიცენზია.
5 ათვისებული იყო A3 ტიპის ლიცენზიების 57,9%, ხოლო A5-ის – 58,3%.



- პროექტ „ტელესკოლის“ ფარგლებში მიმდინარეობს რეგიონების მიხედვით იმ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წარმოება, რომლებიც მხოლოდ ტელესკოლით იღებენ განათლებას, თუმცა პროექტის განმახორციელებელი უწყებები არ ფლობენ სრულ და უახლეს ინფორმაციას ტელესკოლის ნახვადობის სტატისტიკის შესახებ სხვადასხვა პარამეტრის გათვალისწინებით, რაც აფერხებს პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესს.
- სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომლითაც განსაზღვრული იქნება საგანგებო მდგომარეობის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები, რათა მომავალმა გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა ნაკლები ზიანი მიაყენოს განათლების სისტემას. ამასთანავე, არ არის დანერგილი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პანდემიის გრძელვადიანი ეფექტებისა და დისტანციური სწავლების შედეგების პოტენციური გავლენის შეფასებას განათლების სისტემაზე. აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს, რომ პანდემიის მოკლევადიანი ეფექტები ნეგატიურად აისახა მოსწავლეთა შედეგებზე. გარდა ამისა, სხვადასხვა კვლევის შედეგებიც მიუთითებს უარყოფით გავლენაზე. აღნიშნული ხაზს უსვამს საგანგებო გეგმის შემუშავების მნიშვნელობას.
- მაღალმთიან რეგიონებსა და ბარის შორეულ სოფლებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით ხორციელდება პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“⁶ და ქვეპროგრამა „დისტანციური სწავლება“,⁷ რომლებიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ არსებული დეფიციტის შევსებას. ცენტრის ინფორმაციით, 2018-2021 წლებში 309 ერთეული მასწავლებლის ვაკანსია ვერ შეივსო სხვადასხვა მიზეზით. არსებობს რისკი, რომ აღნიშნული დეფიციტის გავლენით, 2018-2021 წლებში, სხვადასხვა სასწავლო წელს, რომელიმე საგანში სათანადო განათლება ვერ მიიღო ჯამში, დაახლოებით, 15,000-მა მოსწავლემ.
- „ასწავლე საქართველოსთვის“ და „დისტანციური სწავლება“ ემსახურება საერთო მიზანს, მაღალმთიან რეგიონებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრას, თუმცა განსხვავებულია სწავლების წარმართვის ფორმა. „დისტანციური სწავლების“ ქვეპროგრამის განხორციელება, დაახლოებით, 4-ჯერ – 4,5-ჯერ უფრო ნაკლები ფინანსური რესურსითაა შესაძლებელი და შეუძლია უფრო მეტი დეფიციტური კადრის მოძიება, რაც გაზრდის მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობას, იმ შემთხვევებში, როდესაც რეგიონებში კვალიფიციური კადრის მივლინება შეუძლებელია.

გამოვლენილ გარემოებებსა და ნაკლოვანებებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გაუმჯობესდეს პროცესის ეფექტიანობა და პროდუქტიულობა.

6 სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამა, რომლის მიზანია მაღალმთიანი და ბარის შორეული სოფლების საჯარო სკოლებში კვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

7 სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ქვეპროგრამა, რომლის მიზანია სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით განახორციელოს დისტანციური სწავლება იმ საჯარო სკოლებში, სადაც კადრის მივლინება შეუძლებელია.



ჩაკომენდაცია სამინისტროს:

რეკომენდაცია №1

დისტანციური სწავლების სათანადოდ წარმართვისათვის, სამინისტრომ უზრუნველყოს იმ მოსწავლეების იდენტიფიცირება, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ კომპიუტერსა და ინტერნეტზე, სანდო ინფორმაციის არსებობის პირობებში კი განისაზღვროს მონყვლადი ჭკუფებისათვის დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის გზები.

ჩაკომენდაცია განათლების განთვის საინფორმაციო სისტემას:

რეკომენდაცია №2

რესურსების პროდუქტიულად გამოყენების მიზნით, ლიცენზიების შესყიდვა მოხდეს საჭიროების შეფასების საფუძველზე. მასწავლებლების/ადმინისტრაციული პერსონალისა და მოსწავლეების მიხედვით, ათვისების საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით შემუშავდეს შესყიდული ლიცენზიების გააქტიურების გეგმა/გრაფიკი და შესაბამისად, განხორციელდეს მისი შესრულების უწყვეტი მონიტორინგი.

ჩაკომენდაცია შენსნ:

რეკომენდაცია №3

მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების შეუფერხებლად მიწოდებისა და დისტანციური სწავლების სათანადოდ განხორციელების მიზნით, შეფასდეს მასწავლებელთა სპეციფიკური საჭიროებები საინფორმაციო/კომპიუტერული ტექნოლოგიების სხვადასხვა უნარებში და მათი გადამზადება განხორციელდეს კონკრეტული მიმართულებების მიხედვით.

ჩაკომენდაცია სამინისტროს:

რეკომენდაცია №4

მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია პროექტ „ტელესკოლის“ აუდიტორიის შესახებ, გაანალიზდეს სტატისტიკური მონაცემები რელევანტური პარამეტრების მიხედვით და შეფასდეს მიზნის მიღწევის მაჩვენებლები. პროექტის გაგრძელების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სრული მოცვა.

რეკომენდაცია №5

გაუთვალისწინებელი მოვლენების ზეგავლენის შემცირებისა და სისტემის სათანადოდ მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს საგანგებო გეგმა, რომლითაც განისაზღვრება ის ღონისძიებები და მათზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების უწყვეტობასა და მდგრადობას. ამასთანავე, პროგნოზისა და ანალიზის საფუძველზე შეფასდეს დისტანციური სწავლების შედეგები, მოსალოდნელი გავლენა და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.

ჩაკომენდაცია შენსნსა და სამინისტროს:

რეკომენდაცია №6

ყველა მოსწავლის ზოგადი განათლებით სათანადოდ უზრუნველყოფისა და რესურსების პროდუქტიული გამოყენების მიზნით, სისტემის სხვადასხვა ერთეულის⁸ კოორდინაციის საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნეს ყველა ის სკოლა და საგანი, სადაც არ არის პედაგოგი ან კვალიფიციური⁹ კადრის დეფიციტია. იმ პირობებში როდესაც არ არის მივლინებული მასწავლებელი, ასეთ საგნებში სათანადო პირობების უზრუნველყოფით, განხორციელდეს დისტანციური სწავლება.

8 სამინისტრო, ემისი, ცენტრი, საგანმანათლებლო რესურსცენტრები, სკოლები.

9 მასწავლებელს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლის.



1. შესავალი

1.1 აუდიტის მოტივაცია

2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის მიხედვით,¹⁰ ზოგადი განათლების მაღალი ხარისხი და საყოველთაო ხელმისაწვდომობა განათლების რეფორმის მთავარი პრიორიტეტია, ხოლო 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამის პრიორიტეტად – ზოგადი განათლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება განისაზღვრა.¹¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წლების ერთიანი სტრატეგიის მიხედვით, ზოგადი განათლების სისტემის მიზანია, მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა.¹²

UNICEF-ის კვლევის მიხედვით,¹³ პანდემიის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე შედეგია, სკოლების მასობრივად დახურვა. იუნესკოს შეფასებით, 2020 წლის მარტის ბოლოს 190-ზე მეტმა ქვეყანამ შეაჩერა სწავლა სკოლებში, რათა შეეკავებინა COVID-19-ის გავრცელება. ამ სიტუაციამ შეაფერხა, დაახლოებით, 1,6 მილიარდი მოსწავლის სწავლების პროცესი, რაც მოსწავლეთა რაოდენობის 90%-ს აღემატება.

Covid 19-ის პანდემიის გამო, ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებში საგაკვეთილო პროცესი დისტანციური სწავლებით ჩანაცვლდა. აღნიშნულ პროცესში მთავარ გამოწვევად იქცა ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა, ვინაიდან ყველა მოსწავლეს არ ჰქონდა წვდომა დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნოლოგიებთან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2019 წლის ივლისისთვის ინტერნეტზე ხელი მიუწვდებოდა შინამეურნეობების 86%-ს ქალაქად და 70%-ს – სოფლად, ხოლო კომპიუტერებზე, შესაბამისად, 75%-სა და 45%-ს.¹⁴

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ 2020 წლის მარტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ზოგადი განათლების სისტემაში 528,426 მოსწავლე იყო რეგისტრირებული, მათგან 12%-ს სახლიდან არ ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა, ხოლო 14%-ს არ ჰქონდა კომპიუტერული მონყობილობა.¹⁵

10 http://gov.ge/files/68_73407_808965_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%902019-2020.pdf

11 http://gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf

12 <http://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf>

13 <https://www.unicef-irc.org/publications/1144-covid19-effects-of-school-closures-on-foundational-skills-and-promising-practices.html>

14 <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqenebashinameurneobebshi>

15 <https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=11488>



ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, სწავლების ხარისხი და მოსწავლეების აკადემიური შედეგები კვლავ გამომწვევად რჩება, რასაც საერთაშორისო კვლევები და ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს.

შეფასების საერთაშორისო კვლევა PISA ამოწმებს 15 წლის მოზარდების მზაობას, რამდენად შეუძლიათ მათ სკოლაში შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებით ყოველდღიურ გამოწვევებთან გამკლავება. PISA 2018-ის თანახმად,¹⁶ მოსწავლეების აკადემიური შედეგები არასახარბიელოა სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით.

რეგიონებში მასწავლებელთა დეფიციტი მნიშვნელოვანი პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით ახორციელებს მიზნობრივ პროგრამებს, ქვეყანაში არსებობს სკოლები, სადაც კონკრეტულ საგნებში მასწავლებლების არარსებობის გამო, მოსწავლეები ვერ იღებენ სრულფასოვან განათლებას. ცენტრის მონაცემების მიხედვით, 2018-2019 სასწავლო წელს მასწავლებლის 63 ერთეული ვაკანსია დარჩა შეუვსებელი, 2019-2020 წლებში – 160, 2020-2021 წლებში – 33, ხოლო 2021-2022 სასწავლო წელს – 53.

1.2 აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვები

აუდიტის მიზანია შეაფასოს გაუთვალისწინებელი მოვლენებისათვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ერთეულების მზაობა, პანდემიის დროს დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით მათ მიერ გატარებული ღონისძიებების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა და მიღებული გამოცდილების სამომავლოდ გამოყენების შესაძლებლობები.

აუდიტის კითხვებია:

1. რამდენად მომზადებული იყო ზოგადი განათლების სისტემა დისტანციური სწავლებისთვის?
 - 1.1 რამდენად უზრუნველყოფილი იყვნენ მოსწავლეები და სკოლები დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნოლოგიებით?
 - 1.2 რამდენად უზრუნველყოფილი იყო სკოლები დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით?
2. პანდემიის პირობებში რამდენად უზრუნველყო სამინისტრომ მოსწავლეები განათლებით და რა ღონისძიებები განახორციელა ამისათვის?
 - 2.1 რა ღონისძიებები გაატარა სამინისტრომ პანდემიის საპასუხოდ და რამდენად ეფექტიანია განხორციელებული ღონისძიებები?
 - 2.2 რამდენად დროულად განახორციელა სამინისტრომ პანდემიის საპასუხო ღონისძიებები?
3. რამდენად შეიმუშავა სამინისტრომ გრძელვადიანი გეგმა და შეაფასა დისტანციური სწავლების მომავალი შესაძლებლობები და შედეგები?
 - 3.1 შეიმუშავა თუ არა სამინისტრომ საგანგებო გეგმა, რათა მომავალმა გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა, როგორცაა, პანდემია, ნაკლები ზიანი მიაყენოს განათლების სისტემას?
 - 3.2 რამდენად შეაფასა სამინისტრომ პანდემიის გავლენა ზოგად განათლებაზე და დაგეგმა შესაბამისი ღონისძიებები?

16 „გალტ ენდ თაგარტის“ კვლევა: „განათლების სექტორი საქართველოში“.



3.3 რამდენად უზრუნველყოფილია განათლება სოფლად და რამდენად შეუძლია დისტანციურ სწავლებას განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა?

1.3 აუდიტის კითხვნიუპეაბი

დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შეფასებისთვის, აუდიტის პროცედურების ჩატარებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
- შესაბამისი უწყებების სტრატეგიები;
- საერთაშორისო პრაქტიკა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 – სტრატეგია ეფუძნება განათლების, მეცნიერებისა და გადამზადების სფეროს მიღწევებსა და გამოწვევების ანალიზს. სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა. მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მასწავლებლების მოტივაციის და ეფექტიანობის გაზრდა, სტრატეგიული ამოცანებია.¹⁷

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი – კანონი განსაზღვრავს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს, აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს. კანონით განსაზღვრულია დისტანციური სწავლება, როგორც სწავლების ერთ-ერთი ფორმა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №95/6 ბრძანება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ – წესი განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დისტანციური სწავლების წარმართვის, მიღებული შედეგების შეფასების წესსა და პირობებს, ასევე ადგენს დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისა და დასწრებულ სწავლებაზე დაბრუნების წინაპირობებს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის და სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამები – ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის ქვეპროგრამები: „ახალი სკოლის მოდელი“, „დისტანციური სწავლება“, „ტელესკოლა“; პროგრამა: „ასწავლე საქართველოსთვის“.

¹⁷ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.



1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის ობიექტად განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულები: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. აუდიტის პერიოდად განისაზღვრა 2020-2021 წლები, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულია აუდიტის წინა პერიოდის ინფორმაცია.

აუდიტის საგნად განისაზღვრა დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

საკითხების შესასწავლად აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი მეთოდები:

- მარეგულირებელი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გაცნობა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები.

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად განხორციელდა შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

1. რამდენად მომზადებული იყო ზოგადი განათლების სისტემა დისტანციური სწავლებისთვის?

– აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით ყველა საჯარო სკოლაში (სულ: 2,078 საჯარო სკოლა) არსებული კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შესახებ, ასევე გააანალიზა მონაცემები 2011-2021 წლებში პროგრამა – „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში პირველკლასელების, მათი დამრიგებლებისა და წარჩინებული მოსწავლეებისთვის გადაცემული კომპიუტერების რაოდენობის შესახებ. ჯგუფი გაეცნო სხვადასხვა ორგანიზაციის (მათ შორის, ემისი, გამოცდების ეროვნული ცენტრი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ა.შ.) მიერ ჩატარებულ კვლევებს დისტანციური სწავლებისა და ინტერნეტზე წვდომის თაობაზე. აუდიტის ჯგუფი გაეცნო დისტანციური სწავლებისთვის სამინისტროს მიერ გამოყენებულ ელექტრონულ პლატფორმებს, შეისწავლა მათი გააქტიურებისა და გამოყენების მაჩვენებლები. ჯგუფმა შეისწავლა ცენტრის მიერ 2017-2021 წლებში ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გადამზადებული მასწავლებლების მონაცემთა ბაზები და გააანალიზა შესაბამისი ტრენინგმოდულები. აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დანყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლების¹⁸ და სრულწლოვანი მე-12 კლასის მოსწავლეების¹⁹ გამოკითხვები.²⁰ შერჩევამ დაფარა ყველა რეგიონი და განხორციელდა სტრატეგიული შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.²¹ კითხვარი ელექტრონულად გაეგზავნა 251 მშობელსა და 290 სრულწლოვან

18 ანგარიშში ყველგან, სადაც მითითებულია 1-9 კლასის მოსწავლეთა პასუხები, იგულისხმება მათი მშობლების გამოკითხვის პასუხები.

19 ანგარიშში ყველგან, სადაც მითითებულია სრულწლოვანი მოსწავლე ან მე-12 კლასის მოსწავლე, იგულისხმება სრულწლოვანი მე-12 კლასის მოსწავლე.

20 არასრულწლოვანი მოსწავლეების გამოკითხვისთვის საჭიროა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეების მშობლებმა არ მიიღეს მონაწილეობა აუდიტის ჯგუფის მიერ ორგანიზებულ პროცესში და არ წარმოადგინეს წერილობითი თანხმობა თავიანთი შვილების გამოკითხვის თაობაზე, ამიტომ გამოკითხვებმა მოიცვა 1-9 კლასის მოსწავლეთა მშობლები და მე-12 კლასის სრულწლოვანი მოსწავლეები.

21 გენერალური ერთობლიობის დაყოფა ქვეჯგუფებად და თითოეული ჯგუფიდან შემთხვევითი წესით განსაზღვრული რაოდენობის შერჩევა.



მოსწავლეს, ხოლო გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 81-მა მშობელმა და 183-მა მე-12 კლასის მოსწავლემ. გამოკითხვის შედეგები შეჯამებულია სტატისტიკის სახით და მათი ექსტრაპოლაცია (გავრცელება) გენერალურ ერთობლიობაზე არ მომხდარა.

2. **პანდემიის პირობებში რამდენად უზრუნველყო სამინისტრომ მოსწავლეები განათლებით და რა ღონისძიებები განახორციელა ამისათვის?** – აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა პანდემიის პირობებში სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები, გაეცნო ცენტრისა და ემისის მიერ დისტანციური სწავლების წარმართვისათვის შემუშავებულ ელექტრონულ სახელმძღვანელოებსა და რესურსებს.²² აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა საერთაშორისო გამოცდილება და კვლევები, შეისწავლა პროექტი „ტელესკოლა“ და მის ფარგლებში სამ ძირითად საგანში ჩაწერილი ტელეგაკვეთილების სილაბუსების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. აუდიტის ჯგუფმა განახორციელა დისტანციური სწავლების პროცესში ჩართული ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის – მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვები.
3. **რამდენად შეიმუშავა სამინისტრომ გრძელვადიანი გეგმა და შეაფასა დისტანციური სწავლების მომავალი შესაძლებლობები და შედეგები?** – აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ და ქვეპროგრამა „დისტანციური სწავლება.“ გააანალიზა ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში დასაქმებული 52,548 მასწავლებლისა და რეგისტრირებული 548,773 მოსწავლის მონაცემთა ბაზები, ასევე ინფორმაცია პროგრამების ფარგლებში შეუვსებელი ვაკანსიებისა და გაწეული ხარჯის შესახებ. ჯგუფმა ჩაატარა პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები და მასწავლებელთა გამოკითხვები. აუდიტის ჯგუფმა გამოკითხვებისთვის შეარჩია 845 მასწავლებელი, რაც ქვეყნის მასშტაბით მასწავლებლების 1,6%-ია. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 312-მა მასწავლებელმა. მასწავლებელთა შერჩევა მოხდა სტრატეგიული შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გამოკითხვის შედეგები გენერალურ ერთობლიობაზე არ გავრცელებულა. შერჩევამ დაფარა ყველა რეგიონისა და ყველა საგნის მასწავლებელი. გამოკითხვებისთვის შემუშავდა კითხვარი, რომელიც ყველა შერჩეულ მასწავლებელს ელექტრონულად გაეგზავნა. მასწავლებელთა კვალიფიკაციის შესწავლის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გააანალიზა იმ მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლებიც ასწავლიან სხვადასხვა არამომიჭნავე საგანს. ჯგუფმა ასევე შეისწავლა ინფორმაცია 2018-2021 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესახებ ოთხ ძირითად საგანში.

22 <http://mastsavlebeli.ge/?p=25383>; <https://el.ge/webinars/subjects/37>



2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 სწავლის აღწერა

სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო²³ და თავის დაქვემდებარებულ ერთეულებთან ერთად ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას, მათ შორის, „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამას,“ რომლის მიზანია ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ასევე სკოლებში ისეთი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ყველა მოზარდს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას მისცემს. პროგრამის ფარგლებში²⁴ 2020 წელს სამინისტრომ სხვა ქვეპროგრამებთან ერთად განახორციელა „დისტანციური სწავლებისა“ და „ტელესკოლის“ ქვეპროგრამები.²⁵

- „დისტანციური სწავლების“ ქვეპროგრამის მიზანია, მასწავლებელთა დეფიციტის შევსება საქართველოს მცირეკონტიგენტიან სკოლებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებით, დისტანციური სწავლების საშუალებით.
- „ტელესკოლის“ ქვეპროგრამის მიზანია, საქართველოს თითოეული მოსწავლისთვის სატელევიზიო ეთერის გამოყენებით საგანმანათლებლო რესურსებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; შექმნილ სიტუაციებში, ცვლადი მოთხოვნების პირობებში განათლების უწყვეტად მიღებისთვის მოსწავლეებისათვის ადაპტირების უნარის გამომუშავება; სასკოლო საზოგადოებისათვის დისტანციური სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენების შეთავაზება.

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამის მიხედვით, დისტანციური სწავლების დანერგვა საშუალებას იძლევა:

- ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით მოსწავლეებმა სხვადასხვა საგანი (განსაკუთრებულად, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნები, ენები, გეოგრაფია) შეისწავლონ მაღალი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებისაგან.
- დისტანციური სწავლების პლატფორმაზე მასწავლებლებმა სასწავლო რესურსები განათავსონ იმგვარად, რომ მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდეთ მათზე წვდომა. შესაბამისად, მოსწავლეებს შეეძლებათ სასწავლო რესურსებს – ახალ თუ განვლილ მასალას, ასევე გაკვეთილების ჩანაწერებს მიუბრუნდნენ მათთვის ხელსაყრელ დროს.
- ონლაინ ინსტრუმენტების დახმარებით გამოყენებულ იქნეს სწავლების უახლესი მეთოდები და მრავალფეროვანი რესურსები; მოსწავლეთა შორის ინტერაქცია და მასწავლებლის უკუკავშირი წარმართოს როგორც სინქრონულ, ასევე ასინქრონულ რეჟიმში.
- ელექტრონული რესურსების, კომპიუტერული პროგრამებისა და აპლიკაციების გამოყენებით, მოსწავლეებმა განავითარონ საგნობრივი ცოდნის, ციფრული წიგნიერების უნარ-ჩვევები.

23 <https://matsne.gov.ge/document/view/5128715?publication=1>

24 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N1988 ბრძანება „ზოგადი განათლების რეფორმის პროგრამა“.


25 გარდა მითითებული ქვეპროგრამისა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვა ქვეპროგრამებიც, თუმცა მათ არ მოიცავს აუდიტის მასშტაბი.



- ყველა შესაძლებლობისა და სოციალური ფენის მოსწავლეს ჰქონდეს წვდომა მაღალხარისხიან განათლებაზე, რისი გარანტიც მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები, ხარისხიანი და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და თანამედროვე ტექნოლოგიებია.

საქსტატის კვლევის მიხედვით,²⁶ დისტანციური სწავლების შეთავაზებული მეთოდებით ძალიან კმაყოფილია 5%, მეტ-ნაკლებად კმაყოფილი – 43%, არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილო – 25,2%, მეტ-ნაკლებად უკმაყოფილო – 13,3%, ხოლო ძალიან უკმაყოფილო – 12,1%.

დიაგრამა №2.1.1 რესპონდენტის კმაყოფილების დონე დისტანციური სწავლების შეთავაზებული მეთოდებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვის პერიოდში



2.2 დისტანციური სწავლების მოდელები

დისტანციური სწავლების წესის მიხედვით, სკოლებში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მოდელის გამოყენებით, სკოლა თავად ირჩევს სწავლების ფორმას.

სქემა №2.2.1 დისტანციური სწავლების მოდელები

სრულიად ელექტრონული (სინქრონული)	სრულად ელექტრონული (ასინქრონული)	ჰიბრიდული
<ul style="list-style-type: none"> • საგაკვეთილო პროცესში სამინისტროს მიერ რეკომენდებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვა. 	<ul style="list-style-type: none"> • ტელე/ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლება. 	<ul style="list-style-type: none"> • სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენება, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით.

²⁶ პირველი ტალღის კვლევა დაიწყო 2020 წელს, გამოკითხული იყო 836 შინამეურნეობა. თითოეულ შინამეურნეობაში გამოკითხვა ტარდებოდა „შინამეურნეობის ინფორმირებულ ზრდასრულ წევრთან“, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ზარის დროს.



სკოლის მიერ არჩეული მოდელი მუდმივად შეიძლება შეიცვალოს პანდემიური სიტუაციისა და სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე. 2021 წლის 12 მარტის მდგომარეობით სკოლებისა და მოსწავლეების განაწილება დისტანციური სწავლების მოდელის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი № 2.2.1 სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა დისტანციური სწავლების მოდელისა და რეგიონების მიხედვით

რეგიონი	დისტანციური ელექტრონული (სინქრონული/ასინქრონული)		ჰიბრიდული	
	სკოლების რ-ბა	მოსწავლეთა რ-ბა	სკოლების რ-ბა	მოსწავლეთა რ-ბა
თბილისი	85	75 271	92	99 888
იმერეთი	268	32 704	91	39 950
სამეგრელო-ზემო სვანეთი	190	31 106	29	8 814
ქვემო ქართლი	175	34 570	76	35 297
აჭარა	170	36 294	10	14 751
კახეთი	159	33 184	26	10 263
შიდა ქართლი	122	20 717	41	16 066
სამცხე-ჯავახეთი	111	15 565	11	2 988
გურია	65	8 786	32	4 575
მცხეთა-მთიანეთი	62	7 334	13	4 355
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	59	2 673	4	136
აფხაზეთი	6	1 338	3	556
ჯამი	1 472	299 542	428	237 639

დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმას ადგენს სკოლა, სკოლის დირექციის, ადმინისტრაციისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო) ჩართულობით. სამინისტროს განმარტებით, დისტანციურ გაკვეთილზე გატარებული საათების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ჯანდაცვის სფეროს მუშაკების რეკომენდაციის საფუძველზე, მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით.


პანდემიის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე დადგა საჭიროება, სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა მედიასაშუალებით ჰქონოდათ წვდომა საგანმანათლებლო სერვისებზე. აღნიშნული მიზნით სამინისტრომ პროექტი „ტელესკოლა“ განახორციელა, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით ტელეგაკვეთილების ჩატარებას.

ტელესკოლა არის დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან, საშუალებას აძლევს სატელევიზიო ეთერის საშუალებით დაესწროს გაკვეთილებს ყველა საგანში. აღნიშნულ პროექტს სამინისტრო ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით. ქვეპროგრამის მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები და ნებისმიერი დაინტერესებული პირი.



პროექტის ფარგლებში ჩანერილი გაკვეთილები სატელევიზიო სივრცის მეშვეობით ტარდება სასწავლო სემესტრის განმავლობაში. გაკვეთილების ბადე მოიცავს 1-11 კლასებს. პროექტი ითვალისწინებს აბიტურიენტის საათის ჩატარებასაც. შესაბამისი დარგის სპეციალისტები აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის უწევდნენ კონსულტაციას. პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე შეთანხმდა ის საგნები და თემები, რაც შესაძლებელია სატელევიზიო ფორმატში შეთავაზებული იყოს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. საგნობრივმა კოორდინატორებმა მასწავლებლებთან ერთად შეიმუშავეს სცენარი თითოეული თემის გარშემო. ტელესკოლაში გაკვეთილების დაგეგმვისას, სპეციალური პედაგოგებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციებით, გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტერესებიც.

დიაგრამა №2.2.1 პროექტ „ტელესკოლის“ ბიუჯეტი და ხარჯი 2020-2021 წლებში²⁷



2.3 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული სისტემის პროგრამები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს პროგრამას „ასწავლე საქართველოსთვის“ – „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების“ პროექტის კომპონენტის („მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის გაძლიერება“) ფარგლებში.

პროგრამაში ჩართვამდე სკოლა თავად ზრუნავს დეფიციტური კადრების მოძიებაზე: აცხადებს კონკურსს, ცდილობს მოიწვიოს ან დაიქირაოს ადგილობრივი მასწავლებელი, ხოლო მას შემდეგ, რაც სკოლა თავად ვერ ახერხებს კვალიფიციური კადრის მოძიებას, იგი მიმართავს პროგრამას.

ცენტრი სამინისტროს უგზავნის წერილს რეგიონების რესურსცენტრებიდან მაღალმთიანი და ბარის შორეული სოფლების სკოლებში არსებული ვაკანტური ადგილების გამოთხოვასთან დაკავშირებით. სკოლები შესაბამის ვადაში აგზავნიან ინფორმაციას ვაკანტური ადგილების შესახებ, სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების მოთხოვნით. პროგრამაში მუშავდება დეფიციტური კადრების ვაკანტური ადგილების ბაზა და ცხადდება კონკურსი კონკრეტული ვაკანსიებისა და საგნობრივი მიმართულებების მიხედვით.

²⁷ 2021 წლის ხარჯი წარმოდგენილია სექტემბრის მდგომარეობით.



სქემა №2.3.1 მასწავლებელთა ჩართვა პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“




შერჩეული მასწავლებლები ინტენსიური ტრენინგების (პედაგოგიური უნარ-ჩვევები და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) გავლის შემდეგ, საქმდებიან საქართველოს რეგიონების სკოლებში. 2019-2020 სასწავლო წელს პროგრამის ფარგლებში დასაქმებული იყო 175 მასწავლებელი, ხოლო 2020-2019 სასწავლო წელს – 169.

ცენტრის განმარტებით, მალალმთიან და დაშორებულ სოფლებში, სადაც სკოლების უდიდესი ნაწილი მცირეკონტინგენტიანია, რთულია კომპეტენტური და კვალიფიციური მასწავლებლების მოძიება და მოზიდვა. აღნიშნულ სკოლებში წლების განმავლობაში არ ისწავლებოდა ინგლისური ენა, რადგან არ ჰყავდათ პედაგოგი. დისტანციური სწავლება საპილოტე რეჟიმში პროგრამის – „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში განხორციელდა 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით აჭარის რეგიონში, ხულოს მუნიციპალიტეტის ორ საჯარო სკოლაში – ინგლისური ენის მიმართულებით.

2019 წლის სექტემბრიდან შეიქმნა ქვეპროგრამა „დისტანციური სწავლება“, რომლის მიზანია სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით განხორციელოს დისტანციური სწავლება იმ საჯარო სკოლებში, სადაც კადრის მივლინება შეუძლებელია.

ცენტრი რეგიონების საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან პერიოდულად იღებს ინფორმაციას სკოლებში დეფიციტური კადრების შესახებ. შეისწავლის არსებულ ვაკანსიებს, ინტერნეტის ხელმისაწვდომობასა და მოსწავლეთა რაოდენობებს. განსაზღვრავს დისტანციური სწავლების სამიზნე სკოლებს, უკავშირდება მცირეკონტინგენტიანი სკოლის დირექტორებს, ადგენს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას და აწვდის ინფორმაციას ელექტრონული სწავლების დადებითი მხარეების შესახებ.

სქემა №2.3.2 დისტანციური სწავლების ქვეპროგრამაში ჩართვა



შერჩეულ სკოლებში დისტანციური გაკვეთილების დასაწყებად, ცენტრი უკავშირდება სკოლებსა და რესურსცენტრებს, შესაბამისი უნარების მქონე პერსონალის მოსაძიებლად და მათ მოსამზადებლად ადგილზე, დისტანციური სწავლების პროცესის დაუბრკოლებლად წარმართვის მიზნით. შემდგომ ხდება მომზადებული მასწავლებლების შეფასება და პროგრამისათვის შესაფერისი პერსონალის იდენტიფიცირება, ხოლო საჭიროების



შემთხვევაში, დისტანციური სწავლების პროგრამაში ჩართული მასწავლებლების სკოლებში მივლინების ორგანიზება. შერჩეულ მასწავლებლებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

ცენტრის განმარტებით, კონკურსი დისტანციური სწავლების პედაგოგებზე არ გამოცხადებულა და ისინი შეირჩა თბილისში უკვე დასაქმებული მასწავლებლებისგან. სკოლებში ეფექტიანი დისტანციური სწავლების დამკვიდრების მიზნით, შემუშავდა პროექტში ჩართული მასწავლებლების მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემა. ასევე ტარდება ონლაინ შეხვედრები პროექტის მონაწილე მასწავლებლებისათვის, სადაც ხდება პრაქტიკის გაზიარება, ახალი ან უკვე გამოყენებული ონლაინ ინსტრუმენტების განხილვა და რეკომენდაციების გაცემა. პროექტის მონაწილე მასწავლებლები ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის წინაშე.

პროგრამის ფარგლებში 2019-2020 სასწავლო წელს დასაქმებული იყო 34 მასწავლებელი, ხოლო 2020-2021 სასწავლო წელს – 33.

2.4 საერთაშორისო პრაქტიკა

მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო მითითებებში – „დისტანციური სწავლება და COVID-19“²⁸ აღნიშნულია, რომ როდესაც ინტერნეტი არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი ან ონლაინ სწავლების განხორციელება შეუძლებელია, მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სხვადასხვა რესურსის გაერთიანება.

განათლების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მიეწოდოთ სხვადასხვა მოდელისა და ტექნოლოგიის გამოყენებით.

დანყებითი განათლება – დისტანციური სწავლების ძირითად ინსტრუმენტებად დანყებითი ასაკის მოსწავლეებისათვის შესაძლოა გამოყენებული იყოს ტელევიზია, რადიო და ონლაინ ვიდეოები. როგორც წესი, პედაგოგები მოსწავლეებთან კომუნიკაციას ახორციელებენ სმს-ების და სოციალური მედიის საშუალებით. ელექტრონული სასწავლო პლატფორმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის, ასევე ვიდეოკონფერენციების ჩასატარებლად.

საშუალო განათლება – საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის ონლაინ სწავლება არის დისტანციური სწავლების დომინირებული ფორმა. ზოგიერთ ქვეყანაში რადიო და ტელევიზია გამოიყენება ონლაინ სწავლების შემავსებლად და შეიძლება უფრო დიდი როლი შეასრულოს, რაც დამოკიდებულია ქვეყნის ციფრულ ინფრასტრუქტურასა და კავშირგაბმულობაზე.

კანდეშიაზე ჩაბრუნების ღონისძიებები

დისტანციური სწავლების შეთავაზებული მოდელები

საგანმანათლებლო ტელევიზიის გამოყენება – ტელევიზია გაკვეთილების ორგანიზების უსწრაფესი გზაა, ვინაიდან მაღალკვალიფიციური მასწავლებლების ჩაწერა შესაძლებელია დამატებითი ტრენინგის გარეშე. ტელევიზია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, მოთხოვნისამებრ (წინასწარ ჩაწერილი გაკვეთილები) და „სახალისო

28 The World Bank Education Global Practice Guidance Note: Remote Learning & COVID-19



სწავლებისთვის“.²⁹ მოსწავლეებს შეუძლიათ უყურონ ტელეგაკვეთილების ჩანაწერს, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს გადახედონ და დაენიონ გამოტოვებულ მასალას. ამ მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა იმ პირობებში, როცა მოსახლეობის უმრავლესობისთვის ტელევიზია ხელმისაწვდომია და არსებობს საგანმანათლებლო არხები, სატელევიზიო პროგრამის შემუშავებისთანავე უნდა მოხდეს პროგრამის განრიგის (ცხრილის) გაცნობა აუდიტორიისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ტელესკოლა აპრობირებული მეთოდია და საკმაოდ ბევრი ქვეყანა იყენებს.

2020 წლის ოქტომბერში იუნესკომ, იუნისეფმა და მსოფლიო ბანკმა ჩაატარეს 149 ქვეყნის განათლების სამინისტროების გამოკითხვა პანდემიის საპასუხო ღონისძიებების შესახებ.³⁰ კვლევის მიხედვით, ონლაინ სწავლება და ტელევიზია ყველაზე ხშირად გამოყენებული მოდელებია, რომელსაც მიმართავდა ქვეყნების 87-90%, ქალაქებში მოცემულ საშინაო დავალებებს იყენებდა ქვეყნების 85%, ხოლო რადიოზე დაფუძნებული დისტანციური სწავლება წარმართა ქვეყნების 61%-ში. შემოსავლებს შორის მკვეთრი განსხვავებები ასახავს იმ უთანასწორობას ტექნოლოგიებში, რომლებიც საჭიროა დისტანციური სწავლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავებები COVID-19-მდეც არსებობდა, პანდემიამ კიდევ უფრო გამოკვეთა აღნიშნული საკითხი. იუნესკოს და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU, 2020) შეფასებით, იმ მოსწავლეების 40%-ს, რომელთა სკოლაც დაიხურა 2020 წლის მაისისთვის, არ ჰქონდათ ინტერნეტი. ინტერნეტთან წვდომის პროცესში გარდა ამ უთანასწორობისა, ტელევიზიასა და რადიოზე ხელმისაწვდომობაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებს შორის და ქვეყნებს შიგნით.

დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები უფრო მეტად იყენებენ სამაუნწყებლო მედიას, მათ შორის, რადიოს (93%) და ტელევიზიას (92%), რათა შეძლონ განათლების მიწოდება სკოლების დახურვის შემთხვევაშიც, ხოლო ონლაინ პლატფორმებს ნაკლებად იყენებენ (64%), სავარაუდოდ, ინტერნეტის დაბალი ხელმისაწვდომობის გამო. ტელევიზიას ფართოდ მოიხმარდნენ დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, მაგრამ მისი ეფექტიანობის ხარისხი სხვადასხვაგვარია. ტელევიზია ასევე გამოიყენებოდა მაღალშემოსავლიან ქვეყნებში. საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის – 37%-მა, საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში – 16%-მა და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში – 27%-მა განაცხადა, რომ ტელევიზია ძალიან ეფექტიანია.

ქვეყნების, დაახლოებით, 60%-ში განათლების სამინისტრომ შექმნა საკუთარი პლატფორმა დანყებითი და საშუალო განათლების მოსწავლეებისთვისა და მასწავლებლებისთვის. ასევე გამოყენებულ იქნა კომერციული (მაგალითად, Microsoft Teams, Google კლასის) და ღია წყაროს პლატფორმები (მაგალითად, Moodle, Canvas) სინქრონული კლასების ჩასატარებლად, ეროვნული საგანმანათლებლო პლატფორმების შესავსებად.

მასწავლებელთა მხარდაჭერა

მასობრივად სკოლების დახურვამ ზეგავლენა მოახდინა, დაახლოებით, 63 მილიონ დანყებითი და საშუალო სკოლის პედაგოგზე. მათ სწრაფად მოუხდათ ახალი სასწავლო

29 Edutainment – ისეთი სატელევიზიო პროგრამები/მასალები, რომლებიც განკუთვნილია როგორც საგანმანათლებლო, ასევე გასართობი მიზნებისთვის.

30 <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34700>




მეთოდების გათავისება, რათა ხარისხიანად წარემართათ დისტანციური სწავლება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. მათ ასევე მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ მოსწავლეების უსაფრთხოებისა და მხარდაჭერის პროცესში. რაც შეეხება მასწავლებელთა მხარდაჭერას, იგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვადასხვა შემოსავლის მქონე ქვეყნებში. ქვეყნების უმეტესობამ (66%-მა) მასწავლებლებს მიაწოდა ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ემუშავათ და ჩაეტარებინათ გაკვეთილები დისტანციური სწავლების დროს. მაღალშემოსავლიანი ქვეყნების დაახლოებით 2/3, საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების თითქმის ნახევრისა და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მხოლოდ 20%, პედაგოგებს სთავაზობს სპეციალურ ტრენინგს, რაც მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიური უნარების განმტკიცებას და პედაგოგიური მიდგომების დისტანციურ სასწავლო პროცესზე მორგებას. იმ ქვეყნებში, სადაც უკვე არსებობდა ონლაინ პლატფორმები, მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები ამ პლატფორმებზე, რათა განეხორციელებინათ დისტანციური სწავლება სკოლის დახურვის შემდგომ. კიდევ ერთი ღონისძიება მასწავლებლებისათვის, ეს ფსიქო-სოციალური და ემოციური მხარდაჭერა იყო. აღნიშნულ მხარდაჭერას მაღალ და საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ნახევარზე მეტი, ხოლო საშუალოზე დაბალი შემოსავლის ქვეყნების – 26% ახორციელებდა. ზოგიერთ შემთხვევაში, სოციალური მედიის ჯგუფებმა ხელი შეუწყეს მასწავლებელთა შორის საუკეთესო პრაქტიკის გაცვლასა და გაზიარებას.

ბიკედაზიანი შდეგების შუასაბა და მართვა

გლობალური განათლების მდგომარეობა: 18 თვე პანდემიიდან – სწავლის დანაკარგების შეფასება

OECD-ის ანგარიშის მიხედვით,³¹ სკოლების დახურვა დაკავშირებული იყო სწავლის დანაკარგებთან. საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ მცდელობად, რიგმა ქვეყნებმა დაიწყეს სწავლის შედეგებზე თვალყურის დევნება და მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეების იდენტიფიცირება. ამ მიზნით ქვეყნებმა გამოიყენეს სხვადასხვა მიდგომები:

სურათი №2.4.1 ქვეყნების პროცენტული რაოდენობა,³² რომლებმაც სწავლის დანაკარგების შესაფასებლად და ხარვეზების აღმოსაფხვრელად სხვადასხვა მიდგომები გამოიყენეს



31 https://www.oecd-ilibrary.org/education/the-state-of-global-education_1a23bb23-en

32 მონაცემები წარმოდგენილია OECD-ის ქვეყნებისთვის.



ზოგიერთ ქვეყანაში რეგიონულ დონეზე განათლების მმართველმა ორგანოებმა ჩაატარეს კლასების შეფასებები და გაუგზავნეს კითხვარები დირექტორებს, რათა შეეფასებინათ სწავლის დანაკარგები. რიგ ქვეყნებში შეარჩიეს სკოლები, სადაც მოსწავლეთა შედეგების შეფასება მოხდა კონკრეტულ საგანსა და კლასში. კვლევა და მისი შედეგები გამოყენებულ იქნა პრობლემების იდენტიფიცირებისა და გამოვლენის პროცესში. კვლევებმა ხელი შეუწყო მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლისთვის მომზადებაში. მაგალითად, კვლევის შედეგებმა გამოავლინა მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები მშობელთა მხარდაჭერის მიმართულებით. ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებო იყო, ვინაიდან მასწავლებლებთან პირდაპირი კონტაქტის არარსებობის პირობებში, მოსწავლეები უფრო მეტად საჭიროებდნენ დახმარებას ოჯახის მხრიდან. ამ საკითხის გადასაჭრელად, პრიორიტეტი მიენიჭა იმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების საკითხს, რომლებსაც განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროებოდათ.




აუქითის მიზნაბაი

პანდემიამ მსოფლიო სრულიად ახალი რეალობისა და გამოწვევების წინაშე დააყენა, ქვეყნებმა სხვადასხვა პოლიტიკა და ღონისძიებები განახორციელეს კრიზისის დაძლევისა და სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით.

მთავრობების მიერ განსხვავებული პოლიტიკის გამოყენების მიუხედავად, პანდემიის საპასუხო კრიზისის მართვის სტრატეგია ძირითადად ეფუძნებოდა³³ რამდენიმე ეტაპიან სისტემური რეაგირების მდგომარეობას, რომელიც მრავალ ფაქტორთან ერთად მოიცავდა ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა: მზადყოფნა, რეაგირება, გრძელვადიანი შედეგების მართვა/მდგომარეობის აღდგენა და გამოცდილების გათვალისწინება მომავალი შესაძლო საგანგებო მდგომარეობების სამართავად.³⁴

სქემა №3 სისტემური რეაგირების სტრატეგიის ძირითადი ეტაპები



COVID-19 პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები გადავიდნენ დისტანციური სწავლების რეჟიმზე და სკოლებში სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:

- Microsoft Office 365 teams-ში შეიქმნა ყველა საჯარო სკოლის კლასებისა და საგნებისთვის ვირტუალური საკლასო ოთახები. სკოლებისთვის შეიქმნა Microsoft Office 365-ის მომხმარებლის პროფილი (528,327 მოსწავლე და 52,124 მასწავლებელი) და განხორციელდა Microsoft teams-ის ადაპტირება ქართულ ენაზე.
- სამინისტრომ უზრუნველყო შესაბამისი სპეციალისტების – ე.წ. ქოუჩების მობილიზება, რომლებიც მასწავლებლებს ტექნიკურ დახმარებას უწევდნენ დისტანციური სწავლების პროცესში დანერგილი ელექტრონული რესურსების ათვისების პროცესში.


33 <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/33696/148198.pdf>
34 https://read.oecd-ilibrary.org/view/?ref=1125_1125436-7j5hea8nk4&title=First-lessons-from-government-evaluations-of-COVID-19-responses



- სატელევიზიო სივრცეში დაიწყო პროექტი „ტელესკოლა.“
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში დისტანციური სწავლება განისაზღვრა, როგორც სწავლების ერთ-ერთი ფორმა, დამტკიცდა დისტანციური სწავლების წესი³⁵ და განისაზღვრა მოსწავლეთა ყოველდღიური დატვირთვა და სასკოლო საათობრივი ბაღე.
- გაფორმდა მემორანდუმი ინტერნეტის პროვაიდერ კომპანიებთან, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესთავაზეს მობილური ინტერნეტის სპეციალური პაკეტი.
- ჩატარდა ვებინარები და სემინარები მასწავლებლებისათვის და შემუშავდა სხვადასხვა ელექტრონული რესურსი, რომელიც განთავსებულია ელექტრონულ პორტალ el.ge-ზე. ცენტრმა პანდემიის საწყისი ეტაპიდან დაიწყო ვებინარების შეთავაზება მასწავლებლებისთვის. 2020-2021 წლებში ჩატარდა 149 ვებინარი, რომელთა ჯამური ნახვის რაოდენობამ 2,318,200 ერთეული შეადგინა.
- 2020 წლიდან მასწავლებელთა ყველა ტრენინგი ტარდებოდა ონლაინ, teams-ის გამოყენებით. 2021 წელს აღნიშნულ პლატფორმაზე სხვადასხვა საგნობრივი და ზოგადპროფესიული მიმართულებით, სულ 69 ტრენინგკურსი გაიარა 38,424-მა მასწავლებელმა. აღნიშნული ტრენინგმოდულები მოიცავდა MS teams-ის მომართვასა და გამოყენებას ონლაინ გაკვეთილების ჩასატარებლად.

პანდემიის პირველ ეტაპზე ყველა სკოლამ სწავლა ონლაინ განახორციელა, ხოლო ეტაპობრივად ხდებოდა ცვლილებები რეგიონების, ქალაქებისა და სკოლების დონეზე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით. სკოლები იხსნებოდა და იხურებოდა კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

სურათი №3. სწავლის ონლაინ/ოფლაინ დაწყების თარიღები 2020-2021 სასწავლო წელს³⁶



35 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის N95/6 ბრძანება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

36 სამინისტროს ვებგვერდის მონაცემების მიხედვით.



3. მზადყოფნა დისტანციური სწავლებაზე გადასასვლელად

3.1 დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ჩასურსებება ხელმისაწვდომობა

დისტანციური სწავლების სათანადოდ წარმართვისთვის აუცილებელია, განათლების სისტემაში არსებობდეს წინაპირობები, რომელიც უზრუნველყოფს განათლების შეუფერხებლად მიწოდებას მოსწავლეებისთვის. მნიშვნელოვანია, ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი იყოს საჭირო კომპიუტერული რესურსებითა და მასწავლებლები მზად იყვნენ სწავლების ონლაინ რეჟიმში განხორციელებისთვის.

UNICEF-მა 2020 წლის აგვისტოში ჩაატარა გლობალური ანალიზი 100 ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობით იმის შესახებ, რამდენად იღებდნენ მოსწავლეები განათლებას სკოლების დახურვის დროს. ჩატარებული კვლევის მიხედვით:³⁷

- მსოფლიოში მოსწავლეთა მინიმუმ 31% ვერ იღებს დისტანციური სწავლების პროგრამებში მონაწილეობას, ძირითადად, საჭირო რესურსების არარსებობის გამო;
- ქვეყნების 40%-მა ვერ უზრუნველყო დისტანციური სწავლების შესაძლებლობა დაწყებითი განათლების საფეხურზე.

საქართველოში პანდემიის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა 2020 წლის 21 მარტს და განათლების სამინისტრომ იმავე პერიოდში უზრუნველყო მოსწავლეები დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმით, თუმცა სამინისტრო არ ფლობს სრულ ინფორმაციას მოსწავლეთა რა ნაწილისთვის არის ხელმისაწვდომი კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი.³⁸ რაც შეეხება სკოლებში არსებულ კომპიუტერულ ტექნიკას, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (ემისი) სერვისს უწევს ჯამში – 32,026 კომპიუტერს. ემისის მონაცემებით, აღნიშნული რაოდენობიდან დამაკმაყოფილებელი ტექნიკური პარამეტრებითაა 16,184 ერთეული. შესაბამისად, დაახლოებით, 50% იდენტიფიცირებულია, როგორც მოძველებული და ხარვეზებით მომუშავე.

2011 წლიდან სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს პროგრამას – „ჩემი პირველი კომპიუტერი“. პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარებზე³⁹ პორტაბელური კომპიუტერების გადაცემას. 2011-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში გაცემული ნოუთბუქების რაოდენობამ შეადგინა 577,948 ერთეული. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკმა 2021 წელს სკოლებისათვის გადასაცემად შეისყიდა 6,350 ნოუთბუქი,⁴⁰ რომლებიც აუდიტის პერიოდისათვის სრულად იყო დარიგებული სკოლებში.

37 COVID19_Effects_of_School_Closures_on_Foundational_Skills_and_Promising_Practices_for_Monitoring_and_Mitigating_Learning_Loss.pdf

38 სამინისტროს განმარტებით, მათ რამდენიმე მცდელობა ჰქონდათ, შეეგროვებინათ ინფორმაცია ინტერნეტსა და მონეობილობაზე წვდომასთან დაკავშირებით, თუმცა პანდემიის ფონზე, ყოველდღიურად ცვალებად ვითარებაში სარწმუნო ინფორმაციის მიღება რთულია. ოჯახებს შესაძლოა ჰქონდათ ინტერნეტთან წვდომა გასულ თვეში, მაგრამ აღარ აქვთ მიმდინარე თვეში, ან ოჯახს აქვს 1 მონეობილობა, რომელიც საკმარისი იყო მოსწავლის დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩასართავად, მაგრამ მოგვიანებით ამას დაემატა დისტანციურად მომუშავე მშობელი/მშობლები, ან მონეობილობა ჰქონდათ, მაგრამ გამოვიდა მწყობრიდან ან არ ჰქონდათ და შეიძინეს.

39 პირველკლასელი მოსწავლეები, მათი კლასის დამრიგებლები, წარჩინებული მოსწავლეები.

40 ტექნიკის შეისყიდა დააფინანსა „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტმა – საქართველო I2Q (IBRD)“, მსოფლიო ბანკის დონორობით.



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის ივლისისთვის ქვეყნის მასშტაბით კომპიუტერით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი შეადგენდა 61,8%-ს, ხოლო ინტერნეტით უზრუნველყოფილისა – 83,8%-ს. რეგიონების მიხედვით აღნიშნული მონაცემები შემდეგნაირად არის განაწილებული:

ცხრილი №3.1.1 კომპიუტერთა და ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების პროცენტული წილი რეგიონების მიხედვით (2019-2021 წლების ივლისის მონაცემები)

რეგიონი	კომპიუტერი			ინტერნეტი		
	2019	2020	2021	2019	2020	2021
თბილისი	79	81,4	74,9	88,4	93,5	94,4
აჭარა	69,3	69,6	79,1	89,8	91,9	94,8
ქვემო ქართლი	...	57	60,5	...	87,8	88,6
სამცხე-ჯავახეთი	...	57,6	71,2	...	82,1	88,6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	52	47,1	53,4	74	77	82
იმერეთი	50,6	53,9	57,5	73	78,1	80,6
გურია	...	42,5	41,8	...	79,2	79,7
შიდა ქართლი	61,3	55,3	62,7	74,9	74,6	79,3
მცხეთა-მთიანეთი	...	56,4	56,2	...	82,9	77,8
კახეთი	45,2	42,6	50,7	65,3	70,4	73,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	...	24,8	28	...	52,7	60,4
დანარჩენი რეგიონები ⁴¹	54,8	76,4

სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის⁴² შედეგები მიუთითებს მოსწავლეების მიერ კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე წვდომის პრობლემებზე. კვლევის თანახმად, პანდემიამდე ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით (სახლში ან სკოლაში) მოსწავლეთა 79,2% სარგებლობდა; ინტერნეტი შეფერხებით მიეწოდებოდა სოფლების 60,5%-ს, ხოლო ზოგადად, ინტერნეტზე წვდომა ან მისი დაბალი ხარისხი, მასწავლებლების 50,2%-მა დაბრკოლებად დაასახელა.

აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დისტანციური სწავლების პროცესში ჩართული სხვადასხვა მხარის⁴³ გამოკითხვა. აღნიშნული გამოკითხვის შედეგები მიუთითებს დისტანციური სწავლების პროცესში ჩართული გარკვეული ნაწილისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობის პრობლემებზე:

- დისტანციური სწავლების დროს ძირითად პრობლემად გაუმართავი კომპიუტერი და ინტერნეტი დაასახელა 54 მშობლიდან 19-მა, ინტერნეტთან წვდომა კი – 28-მ, ხოლო გამოკითხული სრულწლოვანი 113 მოსწავლიდან 44-ს ჰქონდა – კომპიუტერის და 61 მოსწავლეს – ინტერნეტის პრობლემა.
- გამოკითხული 312 მასწავლებლიდან 127-მა აღნიშნა, რომ დისტანციური სწავლების დროს ხშირად იყო შემთხვევა, როდესაც მოსწავლეებს არ ჰქონდათ წვდომა კომპიუტერსა


41 მოიცავს ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს.
 42 კვლევა: „კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული სასწავლო ფორმატის ცვლილების შეფასება“.
 43 საჯარო სკოლის მასწავლებლები, 1-9 კლასის მოსწავლეთა მშობლები, სრულწლოვანი მე-12 კლასის მოსწავლეები.



და ინტერნეტზე; პრობლემის იშვიათობაზე მიუთითა 169 გამოკითხულმა, ხოლო მსგავსი შეფერხება არასოდეს ჰქონია 16 მასწავლებელს. დისტანციური სწავლების დროს ძირითად პრობლემად გამოკითხული 312 მასწავლებლიდან, 56-მა დაასახელა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხოლო 33-მა – ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა.

- 309 მასწავლებლიდან 52 ონლაინ სწავლების დროს ისურვებდა ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესებას, 42 კი – კომპიუტერით ან/და ინტერნეტით მოსწავლის უზრუნველყოფას.
- გამოკითხული 81 მშობლიდან 31-მა აღნიშნა, რომ მათ შვილებს კომპიუტერთან წვდომის პრობლემა ძალიან იშვიათად ჰქონდათ, ხოლო 24-ს არასოდეს ჰქონია მსგავსი პრობლემა. 18-ს – პერიოდულად, ხოლო საკმაოდ ხშირად და ძალიან ხშირად აღნიშნული პრობლემა ექმნებოდა, შესაბამისად, 5 და 3 მოსწავლეს.
- გამოკითხული 183 სრულწლოვანი მოსწავლიდან ინტერნეტის პრობლემები ძალიან ხშირად ჰქონდა 14 მოსწავლეს, საკმაოდ ხშირად – 26-ს, პერიოდულად – 67-ს, 50-ს – ძალიან იშვიათად, ხოლო 26-ს მსგავსი პრობლემა არასოდეს ჰქონდა.

სურათი №3.1.1 მე-12 კლასის მოსწავლეებისა და 1-9 კლასის მოსწავლეების მშობლების გამოკითხვის შედეგები – წვდომა კომპიუტერებსა და ინტერნეტზე



3.2 ღიხანგზიხის ათჰისჯა

ჰანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის სამინისტრომ ერთ-ერთ ძირითად პლატფორმად Microsoft teams გამოიყენა. იგი აერთიანებს მიმონერას, შეხვედრებს, ფაილების გაცვლის სერვისებსა და სხვა აპლიკაციებს. პლატფორმა ასევე იძლევა ვირტუალური სასკოლო ოთახების მონყობის, სკოლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის და პირდაპირი ინტერაქტიური გაცვეთილების ჩატარების საშუალებას.



სამინისტრო 2014 წლის სექტემბრიდან სკოლებში იყენებს MS office 365 A1 ტიპის ლიცენზიას, რომელსაც Microsoft უსასყიდლოდ სთავაზობს სკოლებს. აღნიშნული ტიპის პაკეტი შედის teams-იც, თუმცა შეზღუდული ფუნქციონალით.

2019 წლის 22 მაისს ემისა და შპს „იუჯითის“ შორის გაფორმებული 5-წლიანი ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულ იქნა ერთწლიანი ლიცენზიები, მათ შორის, Microsoft 365 A3 და A5 ტიპის ლიცენზიები, რომელშიც სხვა პროგრამებთან ერთად გაერთიანებულია teams. A3 და A5 ტიპის ლიცენზიები შეძენილ იქნა ადმინისტრაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისათვის, ხოლო მათ ბონუსად მოჰყვა ლიცენზიები მოსწავლეებისათვის (თითოეულ შესყიდულ ლიცენზიას 40 ერთეული მოსწავლის ლიცენზია). ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2,330,354 აშშ დოლარს, რაც შესაბამისი გაცვლითი კურსის გათვალისწინებით 6,308,269 ლარია. აუდიტის პერიოდისთვის სრულად იყო შესყიდული 2021 წლის მდგომარეობით შესასყიდი ლიცენზიების რაოდენობა, რაშიც გადახდილია, დაახლოებით, 3,3 მლნ ლარი.⁴⁴

ცხრილი №3.2.1 2019-2023 წლებში ხელშეკრულების მიხედვით შესასყიდი და ბონუსად მიღებული Microsoft 365 A3, A5 ლიცენზიების რაოდენობა

პერიოდი	მასწავლებელი/ადმინისტრაცია		მოსწავლე (ბონუსი)	
	რ-ბა ლიცენზიის ტიპების მიხედვით ⁴⁵		რ-ბა ლიცენზიის ტიპების მიხედვით	
	A5	A3	A5	A3
2019 (1.06-31.12)	200	4 500	8 000	180 000
2020	200	5 782	8 000	231 280
2021	200	6 782	8 000	271 280
2022	200	7 782	8 000	311 280
2023	200	8 782	8 000	351 280

შესასყიდი ლიცენზიების რაოდენობის განსაზღვრისას, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ჩანს, თუ რას ეფუძნება თითოეულ წელს შესასყიდი ლიცენზიების რაოდენობა და არ არის შეფასებული განათლების სისტემის მზაობა მათ გამოსაყენებლად.

აღსანიშნავია, რომ ემისი არ ფლობს ინფორმაციას 2019-2020 წლებში A3 და A5 ტიპის ლიცენზიებიდან, თვეებისა და წლების მიხედვით, რამდენი მომხმარებელია გააქტიურებული მასწავლებლების/ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და მოსწავლეების მიერ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ კონკრეტული თარიღისთვის გააქტიურებული ლიცენზიების შესახებ.

44 ღირებულება ლარში დათვლილია სხვადასხვა გაცვლითი კურსის მიხედვით. მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, გადახდა მიმდინარეობდა სხვადასხვა დღეს, ამიტომ მითითებული რიცხვი არის დაახლოებითი ღირებულება და გადახდილი თანხა შეადგენს 1,100,932 აშშ დოლარს.

45 Microsoft 365 A5, A3 ტიპის ლიცენზიების შესასყიდი რაოდენობის თითოეულ ერთეულზე გათვალისწინებულია +40 სტუდენტის ბენეფიტი. შესაბამისად, ცხრილში წარმოდგენილი მოსწავლისთვის განსაზღვრული შესასყიდი რაოდენობა დათვლილია აღნიშნულის გათვალისწინებით.



აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა გააქტიურებული მომხმარებლების რაოდენობა ორი კონკრეტული თარიღისათვის.⁴⁶ ანალიზისთვის შედარებულია 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წლების მონაცემები.

2020-2021 სასწავლო წლის 14 აპრილისათვის მოსწავლეებისთვის განსაზღვრული ლიცენზიების ათვისების მაჩვენებელი იყო საკმაოდ დაბალი. კერძოდ, ათვისებული იყო A3 ტიპის ლიცენზიების 77% და A5-ის – 96,8%. აღნიშნული სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობის მხოლოდ 11.4% იყენებდა Microsoft 365 A5 და A3 ტიპის ლიცენზიას. რაც შეეხება მასწავლებლების/ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის შეძენილი ლიცენზიების ათვისების მაჩვენებელს, მოცემული თარიღისათვის Microsoft 365 A5 ტიპის ლიცენზიების ათვისებული რაოდენობა შეადგენდა 21%-ს, ხოლო A3-ის – 12.3%-ს.

ცხრილი №3.2.2 2021 წლის 14 აპრილის მდგომარეობით Microsoft 365 A5 და A3 ტიპის ლიცენზიების ათვისების მაჩვენებლები

ლიცენზიის ტიპი	მოსწავლე			მასწავლებელი/ადმინისტრაცია		
	სულ რ-ბა	გამოყენებული რ-ბა	ათვისებული %	სულ რ-ბა	გამოყენებული რ-ბა	ათვისებული %
Microsoft 365 A5	8 000	259	96,8%	200	158	21,0%
Microsoft 365 A3	271 280	62 124	77,1%	6782	5948	12,3%

აღსანიშნავია, რომ 2021-2022 სასწავლო წლისთვის გაუმჯობესებული იყო ლიცენზიების გააქტიურების მაჩვენებლები.⁴⁷ კერძოდ, 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საჯარო სკოლაში რეგისტრირებულ მოსწავლეთა 20,8%-ის მიერ ათვისებული იყო Microsoft 365 A3 და A5 ლიცენზიები. თუმცა, კვლავ გამოუყენებელი იყო მოსწავლეებისთვის შესყიდული ლიცენზიების 58,3% და 57,9%, ასევე მასწავლებლების/ადმინისტრაციული პერსონალის ლიცენზიების – 17,5% და 10,1%.

ცხრილი №3.2.3 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით Microsoft 365 A5 და A3 ტიპის ლიცენზიების ათვისების მაჩვენებლები

ლიცენზიის ტიპი	მოსწავლე			მასწავლებელი/ადმინისტრაცია		
	სულ რ-ბა	გამოყენებული რ-ბა	ათვისებული %	სულ რ-ბა	გამოყენებული რ-ბა	ათვისებული %
Microsoft 365 A5	8 000	3 336	58,3%	200	165	17,5%
Microsoft 365 A3	271 280	114 292	57,9%	6 782	6 097	10,1%

46 2021 წლის 14 აპრილი და 2021 წლის 30 სექტემბერი.

47 გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა რაოდენობა 2021-2022 სასწავლო წელს 2020-2021 სასწავლო წელთან შედარებით 2,9%-ითაა გაზრდილი. შესაძლოა, ლიცენზიების ათვისების მაჩვენებლის ზრდა უკავშირდებოდეს ამ ცვლილებას.



გამომდინარე იქიდან, რომ შესყიდული ლიცენზიები ერთნაირია და წლის ბოლომდე დარჩენილი იყო სამი თვე, არსებობს რესურსის არაპროდუქტიულად გამოყენების რისკები.

აუდიტის ობიექტის განმარტებით, ლიცენზიების ათვისება გაიზრდება, ვინაიდან Minecraft-ის ტრენინგები მიმდინარეობს, ასევე პირველკლასელებსა და მათ მასწავლებლებს ყოველწლიურად გადასცემენ კომპიუტერებს და მათ გამოსაყენებლად ესაჭიროებათ ფასიანი ლიცენზია. თუმცა, ემისს არ აქვს განსაზღვრული, რამდენი პოტენციური მომხმარებელი ეყოლება ფასიან ლიცენზიებს ყოველწლიურად. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული ლიცენზიების გააქტიურების გეგმა/გრაფიკი პერიოდებისა და პრიორიტეტების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რესურსის არაპროდუქტიულად გამოყენების რისკები, ვინაიდან ლიცენზიების ოპტიმალური საჭიროების შეფასების, გააქტიურების გეგმისა და პროცესის მონიტორინგის გარეშე, შესაძლოა მომავალში გამოუყენებელი დარჩეს ის ლიცენზიები, რომელთა შესასყიდად გადახდილია საბიუჯეტო სახსრები.⁴⁸

3.3 დისტანციური სწავლებისთვის მასწავლებელთა მზადყოფნა

დისტანციური სწავლების სათანადოდ წარმართვისთვის, მნიშვნელოვანია მასწავლებელთა სათანადო მომზადება სწავლების ონლაინ რეჟიმში განხორციელებისთვის. ზოგადი განათლების სისტემაში გამოწვევად რჩება მასწავლებელთა საინფორმაციო ტექნოლოგიებში გადამზადების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრმა 2017 წლიდან დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება კომპიუტერული უნარების განსავითარებლად, პანდემიამდე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გადამზადებული იყო 15,004 მასწავლებელი, რაც მასწავლებელთა 27%-ს შეადგენს.


2017-2021 წლებში საჯარო სკოლებში დასაქმებული იყო, საშუალოდ, 56,134 მასწავლებელი. 2017-2021 წლის ივლისის ჩათვლით, უშუალოდ ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) მიმართულებით, ცენტრში ჩატარდა 56 ტრენინგმოდული და გადამზადდა ჯამში – 32,809 პედაგოგი, რაც, საშუალოდ, მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 58%-ია, ხოლო 2021 წლის ივნისიდან ცენტრმა MS teams-ის საკითხების ინტეგრირება განახორციელა საგნობრივ ტრენინგმოდულებში და მასწავლებლებს ამ ფორმით შესთავაზა პროგრამის სწავლება.

აღსანიშნავია, რომ 24,945 (44%) მასწავლებელი გადამზადდა 2020-2021 წლებში, ვინაიდან 2020 წლის დასაწყისში, პანდემიიდან გამომდინარე, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა გადაეწყო დისტანციური სწავლების მოდელზე. შესაბამისად, საჭირო გახდა ტექნიკური რესურსების მობილიზება და მასწავლებელთა გადამზადება საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

48 თანხა გადახდილია მასწავლებლების/ადმინისტრაციული პერსონალის ლიცენზიებში, რომელსაც მოჰყვება მოსწავლის ლიცენზიები.



დიაგრამა №3.3.1 2017-2021 წლებში თითოეულ სასწავლო წელს, საშუალოდ, გადამზადებული მასწავლებლების პროცენტული წილი დასაქმებული მასწავლებლების საერთო რაოდენობასთან



პანდემიური მდგომარეობის გამო, მასწავლებლებს მოუწიათ სასკოლო გაკვეთილების ვირტუალურად ორგანიზება და ვინაიდან სამინისტრომ დისტანციური სწავლების პლატფორმად გამოიყენა Microsoft 365 teams, მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლებს ჰქონოდათ პროგრამის გამოყენებისთვის საჭირო უნარები. მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა ტრენინგი Microsoft teams-ში ჩატარდა 2020 წლის ოქტომბერში, დისტანციური სწავლების დაწყებიდან, დაახლოებით, 6 თვის შემდეგ, ხოლო ტრენინგი – „დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით“ ჩატარდა 2020 წლის აგვისტო-ნოემბრის პერიოდში.

ტრენინგმოდული Microsoft Teams-ის ტექნიკური გამართვა Microsoft-ის მომხმარებლის გამოყენებით, განკუთვნილი იყო იმ პირებისთვის, ვინც მასწავლებელს/შშობელს/მოსწავლეს დაეხმარებოდა Teams-ის გამოყენებასა და ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით, 8-საათიანი ტრენინგმოდული ტრენინგებსა და სხვადასხვა პრაქტიკოს მასწავლებლებს აძლევდა ტექნიკურ ცოდნასა და გამოცდილებას Microsoft სერვისების დისტანციურ სწავლებაში გამოყენებისათვის, ხოლო 5-საათიანი ტრენინგმოდული ტრენინგებსა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს ასწავლიდა, თუ როგორ გამოიყენონ პროგრამა Microsoft Teams ონლაინ გაკვეთილების/ვებინარების ჩასატარებლად.



ცხრილი №3.3.1 2020 წელს Microsoft სერვისებში გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონები	Microsoft Teams-ის ტექნიკური გამართვა Microsoft-ის მომხმარებლის გამოყენებით.	დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით (8 საათი)	დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით (5 საათი)	სულ
თბილისი	152	147	7 575	7 874
აჭარა	178	39	4 219	4 436
იმერეთი	29	69	1 395	1 493
ქვემო ქართლი	26	168	961	1 155
სამეგრელო-ზემო სვანეთი	20	44	660	724
შიდა ქართლი	9	30	468	507
სამცხე-ჯავახეთი	2	106	30	138
კახეთი	2	60	31	93
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5	11	60	76
აფხაზეთი	5		69	74
მცხეთა-მთიანეთი		23	8	31
გურია	2	5	3	10
სულ	430	702	15 479	16 611

2020 წელს ერთი და იგივე მოდული ორჯერ გაიარა 116 მასწავლებელმა.⁴⁹ ცენტრის განმარტებით, ასეთი შემთხვევები გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ მასწავლებლებმა ვერ დაძლიეს შესაბამისი მოდული პირველად გავლის დროს.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

- პანდემიამდე დისტანციური სწავლების გამოცდილება 312 გამოკითხული მასწავლებლიდან მხოლოდ 27-ს ჰქონდა.
- მასწავლებლების შეფასებით, ვირტუალურ საგაკვეთილო პროცესთან ადაპტაცია მარტივად შეძლო გამოკითხული 312 მასწავლებლიდან 178-მა, საშუალოდ – 128-მ, ხოლო რთულად – 6-მა.
- გამოკითხული 312 მასწავლებლიდან 117-ს საინფორმაციო ტექნოლოგიებში პანდემიამდე ჰქონდა გავლილი ტრენინგი, მათგან 15-მა ტრენინგი მიიჩნია დისტანციური სწავლების წარმართვისთვის სრულიად არასაკმარისად, ხოლო 66-მა – სრულიად საკმარისად.⁵⁰
- გამოკითხული 312 მასწავლებლიდან 144-ს არ გაუვლია ტრენინგი საინფორმაციო ტექნოლოგიებში პანდემიის პერიოდში.
- დისტანციურმა სწავლებამ გააუმჯობესა გამოკითხული 312 მასწავლებლიდან 298-ის უნარები ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

49 მოდულებში: „დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით (8 საათი)“ – 6 მასწავლებელი, „დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით (5 საათი)“ – 110 მასწავლებელი.

50 საკმარისობა შეაფასეს 0-დან 10 ქულამდე (შესაბამისად, არასაკმარისი და სრულიად საკმარისი).



დასკვნა

დისტანციური სწავლების პირობებში, მოსწავლეებისთვის სათანადო რესურსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ გამონაკვეთად რჩება. ქვეყნის მასშტაბით არიან მოსწავლეები, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ დისტანციური სწავლებისთვის საჭირო რესურსებზე – კომპიუტერებსა და ინტერნეტზე. სამინისტრო არ ფლობს სრულ და სანდო ინფორმაციას ასეთი მოსწავლეების რაოდენობაზე.

შესასყიდი ლიცენზიების ოპტიმალური საჭიროების განსაზღვრის ნაკლოვანებები და მომავალში მათი გააქტიურების გეგმა/გრაფიკის არარსებობა, მიუთითებს რესურსების არაპროდუქტიულად გამოყენების რისკებზე. ამასთანავე, ემისს არ აქვს ინფორმაცია – შესყიდვის პერიოდიდან თვეებისა და წლების მიხედვით, რამდენი ლიცენზიაა ათვისებული, რაც აფერხებს მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას.

საჯარო სკოლებში დასაქმებულ მასწავლებელთა 42%-ს⁵¹ არ აქვს გადამზადება გავლილი საინფორმაციო ტექნოლოგიების ტრენინგმოდულში, რაც წარმოქმნის რისკებს დისტანციური სწავლების სათანადოდ წარმართვისთვის.

ჩაკოვანდასია საინისტროს:

რეკომენდაცია №1

დისტანციური სწავლების სათანადოდ წარმართვისათვის, სამინისტრომ უზრუნველყოს იმ მოსწავლეების იდენტიფიცირება, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ კომპიუტერსა და ინტერნეტზე, სანდო ინფორმაციის არსებობის პირობებში კი განისაზღვროს მოწყვლადი ჯგუფებისათვის დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის გზები.

ჩაკოვანდასია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას:

რეკომენდაცია №2

რესურსების პროდუქტიულად გამოყენების მიზნით, ლიცენზიების შესყიდვა მოხდეს საჭიროების შეფასების საფუძველზე. მასწავლებლების/ადმინისტრაციული პერსონალისა და მოსწავლეების მიხედვით, ათვისების საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით შემუშავდეს შესყიდული ლიცენზიების გააქტიურების გეგმა/გრაფიკი და შესაბამისად, განხორციელდეს მისი შესრულების უწყვეტი მონიტორინგი.

ჩაკოვანდასია სწავლის:

რეკომენდაცია №3

მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების შეუფერხებლად მიწოდებისა და დისტანციური სწავლების სათანადოდ განხორციელების მიზნით, შეფასდეს მასწავლებელთა სპეციფიკური საჭიროებები საინფორმაციო/კომპიუტერული ტექნოლოგიების სხვადასხვა უნარებში და მათი გადამზადება განხორციელდეს კონკრეტული მიმართულებების მიხედვით.

51 მონაცემი დათვლილია 2021 წლის ივლისის მდგმარებით



4. პანდემიით გამოწვეულ მდგომარეობაზე რეაგირება

4.1 ტელესკოლის მართვა

პანდემიური მდგომარეობის საპასუხოდ, სამინისტრომ მოსწავლეებს განათლების უზრუნველსაყოფად პროექტი „ტელესკოლა“ შესთავაზა. 2020 წელს აღნიშნული ქვეპროგრამა საზოგადოებრივ მაუწყებელთან და მედიისა და ტელევიზიონების კოლეჯთან ერთად განხორციელდა.

სქემა №4.1.1 ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციონირება

სამინისტრო	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი	საზოგადოებრივი მაუწყებელი	მედიისა და ტელევიზიონების კოლეჯი
<ul style="list-style-type: none"> • მასწავლებელთა შერჩევა და გადამზადება; • საგნობრივი ექსპერტების შერჩევა; • თემების შერჩევა და საგაკვეთილო სცენარების შექმნა; • პროცესების კოორდინირება. 	<ul style="list-style-type: none"> • პროგრამაში დასაქმებულ პირებთან კონტრაქტის გაფორმება. 	<ul style="list-style-type: none"> • საეთერო ბადის შევსება; • მასწავლებლების გადარჩევა; • გადაცემების გადაღება და გაშუქება; • თემატიკასთან დაკავშირებული ტიხრების მომზადება და გადანაწილება ბადეში. 	<ul style="list-style-type: none"> • ტელეგაკვეთილების და საინფორმაციო ტიხრების გადაღება; • საინფორმაციო (გრაფიკული) ვიდეორგოლების გადაღება.

სამინისტროს განმარტებით, პროგრამა დაიგეგმა შემჭიდროებულ ვადებში და პროექტში მონაწილე მასწავლებლების შერჩევა საჯარო კონკურსით არ მომხდარა. შერჩევა გაიმართა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე სამინისტრომ წარმოადგინა პოტენციური მასწავლებლები თბილისის სკოლებიდან და წარუდგინა საზოგადოებრივ მაუწყებელს, ხოლო შემდეგ სატელევიზიო ფორმატისთვის შეარჩიეს მასწავლებლები. ქვეპროგრამის ფარგლებში 2020 წლის მარტი-დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო სხვადასხვა საგნის 119 მასწავლებელი.

ქვეყნის მასშტაბით ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მოსწავლეები განათლებას იღებდნენ მხოლოდ ტელესკოლის საშუალებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ტელესკოლის პროგრამა სრულად ფარავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნებს.

2019-2020 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში იმ მოსწავლეთა რაოდენობამ, რომლებიც მხოლოდ ტელესკოლით იღებდნენ განათლებას, შეადგინა 8,564 მოსწავლე, 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში – 3,267 მოსწავლე, ხოლო მე-2 სემესტრში – 2,314 მოსწავლე.⁵²

52 სამინისტროს განმარტებით, 2019 – 2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მხოლოდ ტელესკოლით მოსარგებლე მოსწავლეების მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ მშობლებმა პანდემიის გამო ბავშვები გაიყვანეს რაიონებში, სადაც ისინი არ იყვნენ უზრუნველყოფილი ტექნიკითა და ინტერნეტით.



ცხრილი №4.1.1 მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც განათლებას იღებდნენ მხოლოდ ტელესკოლის საშუალებით, რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრი	2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრი	2020-2021 სასწავლო წლის II სემესტრი
თბილისი	649	521	297
ქვემო ქართლი	6 004	1 282	901
სამეგრელო-ზემო სვანეთი	670	649	561
იმერეთი	441	284	104
კახეთი	199	138	114
შიდა ქართლი	133	102	108
მცხეთა-მთიანეთი	119	49	33
აფხაზეთი	103	59	56
სამცხე-ჯავახეთი	88	55	66
აჭარა	84	56	16
გურია	74	72	58
ჯამი	8 564	3 267	2 314
პროცენტული წილი	1,60%	0,60%	0,40%

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2020-2021 წლებში ტელესკოლის ფარგლებში ჩაწერილი საგნები კლასების მიხედვით და შეადარა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებს. ტელესკოლის ფარგლებში ჩაწერილია როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო საგნის ტელეგაკვეთილები სხვადასხვა კლასისათვის, თუმცა ტელესკოლის გაკვეთილები არ მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით სავალდებულოდ განსაზღვრულ შემდეგ საგნებს:

- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) – დაწყებითი და საბაზისო საფეხური;
- მეორე უცხოური ენა – მე-5 – მე-12 კლასები.

ამასთანავე, აუდიტის ჯგუფის მიერ გამოკითხული 52 მასწავლებლიდან, 12 მათგანი ტელესკოლის ერთ-ერთ უარყოფით მხარედ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ იგი არ მოიცავდა ყველა საგანს.

აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილია სამი ძირითადი საგნის: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ინგლისური ენის სატელევიზიო გაკვეთილების თემატიკის თავსებადობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. აღსანიშნავია, რომ მითითებულ 3 საგანში ყველა კლასის ტელესკოლის სილაბუსი სრულად ფარავს ესგ-ით (ეროვნული სასწავლო გეგმით) განსაზღვრულ ძირითად მასალას.

2019-2020 სასწავლო წლისთვის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და მოქმედების პერიოდში,⁵³ საჭიროების შემთხვევაში ტელესკოლა არ იყო ხელმისაწვდომი 8,920 მოსწავლისთვის, რაც ამავე სასწავლო წლისთვის მოსწავლეების 1,7%-ს შეადგენს, ხოლო საგანგებო მდგომარეობის შემდგომ პერიოდში – 6,815 მოსწავლისთვის, რაც ამავე სასწავლო წელს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 1,3%-ს შეადგენს.

53 გამოცხადდა 2020 წლის 21 მარტს.



აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ტელესკოლასთან დაკავშირებით:

- **ტელესკოლის გამოყენება:** ტელესკოლა არასოდეს გამოუყენებია 312 გამოკითხული მასწავლებლიდან 52-ს; მე-12 კლასის 183 მოსწავლიდან – 56-ს და 1-9 კლასის 81 მოსწავლიდან – 23-ს. ტელესკოლას, როგორც დამხმარე რესურსს ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში იყენებს გამოკითხული 312 მასწავლებლიდან 142, ხოლო მომავალში გამოყენებას გეგმავს – 259.
- **ტელესკოლის სარგებლიანობა:** იმ 260 მასწავლებლიდან, ვინც იყენებდა ტელესკოლას, იგი სასარგებლო რესურსი იყო 243-ისთვის; 1-9 კლასის 56 მოსწავლიდან – 49-ისთვის, ხოლო სრულწლოვანი 118 მოსწავლიდან – 80-ისთვის.
- **ტელესკოლის თემატიკა:** გამოკითხული 144 სრულწლოვანი მოსწავლიდან – 75 და 1-9 კლასის 69 მოსწავლის მშობლიდან – 40 თვლის, რომ ნაწილობრივ არსებობს კავშირი ტელესკოლისა და სკოლის გაკვეთილებზე ახსნილ მასალებს შორის. გამოკითხული 145 სრულწლოვანი მოსწავლიდან 87-ის და 1-9 კლასის 68 მოსწავლის მშობლიდან – 54-ის აზრით, ტელესკოლის გაკვეთილზე ახსნილი მასალა იყო გასაგები.
- **უკუკავშირი:** გამოკითხული 139 სრულწლოვანი მოსწავლიდან 55-ს და 1-9 კლასის 65 მოსწავლიდან 29-ს, ტელესკოლის ყურების შემდეგ, ნანახ მასალასთან დაკავშირებით არასოდეს ჰქონია მასწავლებელთან უკუკავშირი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და იუნისეფის მიერ ჩატარებული კვლევის⁵⁴ მიხედვით, 6-17 წლის ბავშვების⁵⁵ 57,3% უყურებდა/უსმენდა სატელევიზიო გაკვეთილებს საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვის შემდეგ, ხოლო 2021-2022 წელს – 3,1% უყურებდა/უსმენდა ტელესკოლის⁵⁶ ყველა გაკვეთილს, 5,1% – ზოგიერთ გაკვეთილს და 91,7% – არ უყურებდა და არ უსმენდა ტელესკოლას.⁵⁷

სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2020 წლის ივნისში ჩატარებული კვლევის მიხედვით:⁵⁸

- ტელესკოლის გაკვეთილი ერთხელ მაინც ნახა გამოკითხულ მოსწავლეთა 88,9%-მა. მათი 70% აცხადებს, რომ გაკვეთილები საინტერესო იყო.
- ტელესკოლას ნაკლებად უყურებდნენ თბილისში, ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში.
- ტელესკოლას ხშირად უყურებდნენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები (90,4%), ხოლო საბაზო საფეხურზე – 86%.
- საერთო ჯამში ყველაზე მეტი მაყურებელი ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე მათემატიკის და უცხოური ენების გაკვეთილებს ჰყავდა.
- დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს აქტიურად უყურებდა მოსწავლეთა 40,2%, მათემატიკის გაკვეთილს – 42,6%, ხოლო უცხოური ენების გაკვეთილს – 33,4%. საბაზო საფეხურზე აქტიურ მაყურებელთა რაოდენობა, რომლებიც საგნის თითქმის ყველა გაკვეთილს უყურებდნენ, 25%-დან 30%-მდე მერყეობს, საშუალო საფეხურზე კი ტელესკოლის აქტიური მაყურებელი 20%-დან 25%-მდეა.

54 „ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის შეფასება“.

55 რომლებიც დადიოდნენ საშუალო სკოლაში 2020 წლის მარტში, საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვამდე.

56 სატელევიზიო გაკვეთილებზე დღეში დახარჯული წუთების საშუალო რაოდენობა გასული 7 დღის განმავლობაში (სამუშაო დღეებში არ მოიცავს საშინაო დავალებზე დახარჯულ დროს), დაახლოებით, 47 წუთია.

57 კვლევის მეთოდოლოგია: <https://www.geostat.ge/ka/mics-plus>

58 „კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული სასწავლო ფორმატის ცვლილების შეფასება“.



აუდიტის ჯგუფმა პროექტ „ტელესკოლის“ გამოყენების შეფასების მიზნით, სამინისტროდან და საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გამოითხოვა აუდიტის პერიოდისათვის მიმდინარე ინფორმაცია ტელეგაკვეთილების ნახვადობის შესახებ. სამინისტროს განმარტებით, ისინი არ ფლობენ აღნიშნულ ინფორმაციას. ამასთანავე, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვისაც უცნობია პროექტ „ტელესკოლის“ ნახვადობის სტატისტიკა და რეიტინგები. პროგრამის განმახორციელებელი ერთეულები არ ფლობენ სრულ და უახლეს ინფორმაციას, რამდენი მომხმარებელი ჰყავს პროექტს, რომელი რეგიონის მოსწავლეებისთვის არის პროექტი საინტერესო, რომელი კლასის და რომელი საგნის გაკვეთილები არის მეტად/ნაკლებად ყურებადი მოსწავლეების/მასწავლებლების მიერ, სად არის პროექტის გაუმჯობესების პოტენციალი. სამინისტრო ფლობს ინფორმაციას რეგიონების მიხედვით იმ მოსწავლეების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ტელესკოლით იღებენ განათლებას, თუმცა არ არსებობს მსგავსი მონაცემი საგნების მიხედვით ყურებადობისა და იმ მოსწავლეების შესახებ, რომლებიც იყენებენ ტელესკოლას, როგორც დამხმარე რესურსს. შესაბამისად, არ მიმდინარეობს პროცესის სათანადო მონიტორინგი, რაც აფერხებს პროექტის ეფექტიანობის შეფასებისა და პროდუქტიულობის გაზრდის შესაძლებლობას.

4.2 ჩააზიარების სხვა ღონისძიებები

პანდემიის საპასუხოდ და დისტანციური სწავლების ხელშესაწყობად სამინისტრომ სხვადასხვა ღონისძიება განახორციელა.

დისტანციური სწავლების პირობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, ამიტომ პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, 2021 წლის 15 იანვარს სამინისტრომ საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებში მობილური ოპერატორები ბენეფიციარებს მობილურ ინტერნეტპაკეტს შელავათიან ფასად სთავაზობენ.

მემორანდუმის მიზანია, პანდემიის პირობებში საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები მაქსიმალურად უზრუნველყოფილნი იყვნენ ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის მობილური ინტერნეტკავშირით.

პროგრამით სარგებლობისთვის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა (ან მოსწავლის ოჯახის წევრმა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანგებოდ შექმნილ პლატფორმაზე მოსწავლის ან მასწავლებლის პირადი ნომრის მითითებით, უნდა დაარეგისტრირონ ტელეფონის ნომრები, რომლებზეც სურთ გაუაქტიურდეთ აღნიშნული პაკეტი. ემისი ახდენს ბენეფიციარების ვერიფიცირებას, ასევე უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის გამართულ, სანდო, უსაფრთხო და შესაბამისი ეფექტიანი პროცედურების დანერგვას/ფუნქციონირებას.

შელავათიანი ინტერნეტპაკეტის მოსარგებლეთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია, თუმცა აღნიშნულის ზუსტი მიზეზები არ არის ცნობილი და საჭიროებს დამატებით კვლევას. 2020-2021 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ინტერნეტგვერდზე დარეგისტრირებული იყო საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლების 17% და მოსწავლეების – 3%.⁵⁹

59 რეგისტრაცია არ გულისხმობს, რომ შელავათიანი პაკეტი გააქტიურეს ბენეფიციარებმა, აღნიშნულ მონაცემზე წვდომა ემისს არ აქვს.



ცხრილში მოცემულია აღნიშნული შეღავათით სარგებლობისთვის პორტალ mobil.emis.ge-ზე დარეგისტრირებული მასწავლებლებისა და მოსწავლეების პროცენტული რაოდენობა თვეების მიხედვით.

ცხრილი №4.2.1 პორტალ mobil.emis.ge-ზე დარეგისტრირებულ მასწავლებელთა და მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა თვეების მიხედვით

თვე	მასწავლებელთა %	მოსწავლეთა %
იანვარი	11,5%	2,17%
თებერვალი	3,3%	0,39%
მარტი	1,0%	0,15%
აპრილი	0,8%	0,13%
მაისი	0,4%	0,05%
ივნისი	0,2%	0,02%
ივლისი	0,0%	0,00%
სექტემბერი	3,9%	0,4%
ოქტომბერი ⁶⁰	1,0%	0,1%

აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ განახორციელა პრობლემის იდენტიფიცირება და მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის პრობლემის აღმოფხვრის გზა შესთავაზა, თუმცა სკოლები დისტანციური სწავლების რეჟიმზე 2020 წლის გაზაფხულიდან გადავიდნენ და სამინისტრომ მათ ხელმისაწვდომი მობილური ინტერნეტპაკეტები მიაწოდა თითქმის ერთი წლის შემდეგ. აღნიშნული მიუთითებს, რომ გატარებული ღონისძიება არ განხორციელდა საკმარისად დროულად და ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები. მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნაწილისათვის, დისტანციური სწავლების პირველი წელი ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით, ერთგვარი გამოწვევა იყო.

დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექსტური/ვიდეოინსტრუქციები და მასალები განთავსებულია ერთიან საგანმანათლებლო ელექტრონულ პორტალ el.ge-ზე. პორტალი ჩაშენებულია Microsoft Teams-ში, რაც საშუალებას იძლევა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს პირდაპირ ჰქონდეთ წვდომა განთავსებულ რესურსებზე.


პანდემიის პერიოდში, საშუალოდ, 19,000 მომხმარებელი შედიოდა პორტალზე, ხოლო 2021 წლის სექტემბერში საიტზე დაფიქსირებულია 12,000-ზე მეტი უნიკალური მომხმარებელი.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, პორტალზე განთავსებულ რესურსებს სწავლების პროცესში იყენებდა 312 გამოკითხული მასწავლებლიდან – 202, რომელთაგან 91-ისთვის რესურსები იყო სასარგებლო, ხოლო 111-ისთვის – ნაწილობრივ სასარგებლო. რაც შეეხება გამოკითხულ მოსწავლეებს, სრულწლოვანი 183 მოსწავლიდან 63 და 1-9 კლასის 81 მოსწავლიდან – 43, არასოდეს იყენებდა პორტალზე განთავსებულ რესურსებს.

60 მონაცემი წარმოდგენილია 2021 წლის 7 ოქტომბრის მდგომარეობით.



სურათი №4.2.1 მოსწავლეების მიერ პორტალ el.ge-ზე განთავსებული რესურსების გამოყენების სიხშირე



გამოკითხვების მიხედვით, 183 გამოკითხული სრულწლოვანი მოსწავლიდან 44-მა და 1-9 კლასის 81 მოსწავლის მშობლიდან – 31-მა, 0-5 ქულით შეაფასა დისტანციური სწავლება; 83 მოსწავლესა და 49 მშობელს არ აქვს სურვილი არსებული ფორმით მომავალში ნაწილობრივ მაინც დარჩეს დისტანციური გაკვეთილები.

საქსტატის კვლევის მიხედვით,⁶¹ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დისტანციური სწავლების შეთავაზებული მეთოდებით რესპონდენტების 22,5% იყო უკმაყოფილო, ხოლო უკმაყოფილების მიზეზად 77,5%-მა დაასახელა მასწავლებლის მიერ საშინაო დავალების სრულყოფილად შემოწმების შესაძლებლობის არარსებობა, 43%-მა კითხვის დასმისა და განმარტების შესაძლებლობის არარსებობა დისტანციური სწავლების დროს, 48%-მა კი – გაკვეთილების ხანგრძლივობის სიმცირე.

სამინისტროს მიერ პანდემიის საპასუხოდ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიების მიუხედავად, დისტანციური სწავლების პროცესს გააჩნდა გარკვეული ნაკლოვანებები და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას.

დასკვნა

ტელესკოლის გაკვეთილები სრულად არ ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის საჭირო უნარების განვითარებას.

პროექტ „ტელესკოლის“ განმახორციელებელი უწყებები არ ფლობენ სრულ და უახლეს ინფორმაციას, რამდენი მომხმარებელი ჰყავს პროგრამას და ასრულებს თუ არა ძირითად მიზანს – უზრუნველყოს ზოგადი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც დისტანციური სწავლების სხვა ფორმებს ვერ იყენებენ. ამასთანავე, ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში, შეუძლებელია პროექტის შედეგების სრულყოფილი შეფასება და ანალიზი.

61 <https://www.geostat.ge/ka/mics-plus> (მეხუთე ტალღა).



სამინისტრომ დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოსწავლეები და მასწავლებლები შეღავათიანი ინტერნეტპაკეტებით უზრუნველყო ონლაინ სწავლებაზე გადასვლიდან ერთი წლის შემდეგ, პროექტში ჩართული ბენეფიციარის რაოდენობა კი საკმაოდ დაბალია. ზემოაღნიშნული საკითხები მიუთითებს რეაგირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაკლოვანებებზე.

რეკომენდაცია სამინისტროს:

რეკომენდაცია №4

მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია პროექტ „ტელესკოლის“ აუდიტორიის შესახებ, გაანალიზდეს სტატისტიკური მონაცემები რელევანტური პარამეტრების მიხედვით და შეფასდეს მიზნის მიღწევის მაჩვენებლები. პროექტის გაგრძელების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სრული მოცვა.




5. კანდიდიის ბიძგვარინი შდგებულის მართვა

5.1 დგებულება და შდგება

მნიშვნელოვანია, განათლების სისტემა მზად იყოს სხვადასხვა გამონგვევისა და განუსაზღვრელი მოვლენისთვის, რათა უზრუნველყოს შესაბამისი სერვისების უწყვეტობა საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც.

საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა ეხმარება ორგანიზაციას, უზრუნველყოს რეაგირება მოვლენაზე, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს. საგანგებო გეგმის შედგენისას ტარდება კატასტროფების რისკების ანალიზი და წინასწარ იგეგმება ღონისძიებები დროული, ეფექტიანი და შესაბამისი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

სეგმა №5.1.1 საგანგებო გეგმის ძირითადი ელემენტები



საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის შედეგად ყალიბდება ორგანიზებული და კოორდინირებული სამოქმედო კურსი – მკაფიოდ განსაზღვრული ინსტიტუციური როლებითა და რესურსებით, საინფორმაციო პროცესებითა და ოპერატიული ღონისძიებებით. შესაძლო გარდაუვალი ან საფრთხის შემცველი მოვლენების სცენარებზე დაყრდნობით, გეგმა საშუალებას იძლევა წინასწარ იქნეს წარმოდგენილი, განსაზღვრული და გადაჭრილი ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას კატასტროფების დროს. საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა საერთო მზადყოფნის მნიშვნელოვანი ნაწილია. საგანგებო სიტუაციების გეგმები რეგულარულად უნდა განახლდეს და შეფასდეს.⁶²

სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა დისტანციური სწავლების წესი, ასევე ჩართული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის კორონავირუსით გამონგველ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების⁶³ შეიმუშავების პროცესში; ცვლილებები განხორციელდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, თუმცა აუდიტის პერიოდისათვის

62 <https://www.undrr.org/terminology/contingency-planning>

63 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-227/ო ბრძანება, დანართი №37.



სამინისტროს მიერ არ იყო შემუშავებული საგანგებო გეგმა ან მსგავსი შინაარსის მატარებელი სხვა დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებული იქნებოდა საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში პოტენციური პრობლემები, შეფასდებოდა პრობლემების გავლენა განათლების სისტემაზე და განისაზღვრებოდა ამ გავლენის შერბილებისაკენ მიმართული ღონისძიებები.

აუდიტის პერიოდისთვის შეზღუდულია პანდემიის გავლენის შეფასების შესაძლებლობა მოსწავლეთა შედეგებზე, ვინაიდან პანდემია კვლავ ახდენდა გავლენას პროცესზე. მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროში არსებობდეს პროცესი, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდება პანდემიის ზეგავლენა ზოგად განათლებაზე, შეფასდება კრიზისიდან გამოსვლის გზები და დროულად მოხდება იმ მოვლენებზე რეაგირება, რომლებიც, სავარაუდოდ, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში გამოწვევა იქნება მთლიანად ზოგადი განათლების სისტემისთვის.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღნიშნული მიმართულებით გაკეთებულია პროგნოზები. მათ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის სრული გავლენა სასწავლო პროცესზე შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში არ იყოს ბოლომდე ცნობილი, სტატისტიკური დაშვებები არასასურველ მდგომარეობაზე მიუთითებს:

- იუნისეფის მიერ ჩატარებული საპროგნოზო ანალიზის მიხედვით,⁶⁴ მოსწავლეები სკოლებში დაბრუნდებიან 32%-37%-ზე ნაკლები პროგრესით კითხვაში, ვიდრე ამას მიაღწევდნენ ჩვეულებრივ სასწავლო წლის პირობებში. ეს პროგნოზები კიდევ უფრო მაღალია მათემატიკისთვის, ასეთ შემთხვევებში დანაკარგები 50%-დან 63%-მდე ფარგლებშია შეფასებული.⁶⁵
- მუშავდება Covid 19-ის შემდგომ სასწავლო პროცესის გაგრძელების სხვადასხვა სცენარი დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე შვიდი ქვეყნის მონაცემების გამოყენებით, რათა შეიქმნას სწავლის დანაკარგების გრძელვადიანი მოდელი. ამ კვლევის პროგნოზით, სასწავლო დროის 1/3-ით შემცირების შედეგად, რაც ნიშნავს ერთი სემესტრის გამოტოვებას, მე-3 კლასის მოსწავლეების სწავლის დონე ერთი წლით ჩამორჩება.
- მსოფლიო ბანკის დაშვება 157 ქვეყნის მონაცემის საფუძველზე განსაზღვრავს პროგნოზს, რომ სკოლების დახურვა და პანდემიით გამოწვეული საარსებო წყაროს დაკარგვა გამოიწვევს სასწავლო წლის გარკვეული ნაწილის დაკარგვას, აღნიშნული შეამცირებს მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს.
- აზიის განვითარების ბანკის მიერ 2021 წლის აპრილში გამოქვეყნებული ანგარიშის⁶⁶ მიხედვით, საშუალოდ, სასკოლო განათლების ყოველი დამატებითი წელი ადამიანის წლიურ შემოსავალს 9,7%-ით ზრდის. სკოლების დახურვის შედეგად დაზარალებული თითოეული სტუდენტი ყოველწლიურად კარგავს საშუალო წლიური შემოსავლის 2.4%-ს. საქართველოსთვის დათვლილი მონაცემების მიხედვით, ოპტიმისტური სცენარით აღნიშნული დანაკარგი თითოეულ წელს, თითო მოსწავლეზე 87 აშშ დოლარია, საშუალო სცენარით – 131 აშშ დოლარი, ხოლო პესიმისტური გათვლებით შეადგენს 188 აშშ დოლარს.⁶⁷

64 ანალიზი გაკეთებულია აშშ-ის მე-3 – მე-8 კლასის 5 მილიონი მოსწავლისაგან მიღებული მონაცემების გამოყენებით.

65 COVID-19: Effects of School Closures on Foundational Skills and Promising Practices for Monitoring and Mitigating Learning Loss.

66 გვ. 57, 71; <https://www.adb.org/sites/default/files/publication/692111/ado2021.pdf>

67 პროგნოზების შემოსავალი იზრდება სასკოლო წლების შესაბამისად. საშუალოდ, სკოლაში გატარებული ყოველი დამატებითი წელი ზრდის ადამიანის წლიურ შემოსავალს 9,7%-ით. ამრიგად, დაკარგული სწავლის ყოველი წელი უდრის 9,7%-ით ნაკლებ პოტენციურ შემოსავალს. სწავლის დანაკარგები შეიძლება შეფასდეს სასკოლო წლების მიხედვით (learning-adjusted years of schooling-LAYS), რომელიც ასახავს განათლების მიღების ხანგრძლივობასაც და ხარისხსაც.




საქსტატის კვლევის მიხედვით,⁶⁸ დისტანციური სწავლების პერიოდში 2019-2020 სასწავლო წლის ბოლოს, წინა წელთან შედარებით, მე-5 – მე-12 კლასის მოსწავლეების 20,8%-ის აკადემიური მოსწრება გაუმჯობესდა, 54,2%-ის – მეტ-ნაკლებად არ შეცვლილა, 22,4%-ის აკადემიური მოსწრება – გაუარესდა, ხოლო 2,5%-ის მონაცემი – უცნობია.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ონლაინ სწავლების დროს 183 სრულწლოვანი მოსწავლიდან 34-ის აკადემიური მოსწრება გაუარესდა, ხოლო 1-9 კლასის 81 მოსწავლიდან – 36 მოსწავლის, მომავალში კი 104 სრულწლოვანი მოსწავლიდან – 32-ის და 1-9 კლასის 51 მოსწავლის მშობლიდან – 34-ის შეფასებით, მათი აკადემიური მოსწრება გაუარესდება დისტანციური სწავლების პირობებში.

აუდიტის ჯგუფი გაცნო ინფორმაციას 2018-2021 წლებში აბიტურიენტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობისა და მიღებული შედეგების შესახებ.

დიაგრამა №5.1.1 აბიტურიენტების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახეს



ოთხი ძირითადი საგნის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, მათემატიკა, ზოგადი უნარები) შედეგების ანალიზის მიხედვით, 2020 და 2021 წლებში პანდემიის პირობებში არ ფიქსირდება აბიტურიენტთა საგამოცდო შედეგების მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც გარკვეულწილად მიანიშნებს, რომ პანდემიის გავლენა აკადემიურ შედეგებზე მოკლევადიან პერიოდში არ ასახულა.


5.2 მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა ჩამოყალიბდა – გამოხილვის გამოყენება

მაღალმთიანი და ბარის შორეული სოფლების საჯარო სკოლებში არსებობს სხვადასხვა საგნის კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განათლების სისტემის მიერ სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების გზით ამ სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა და მოსწავლეებისთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს პროგრამას – „ასწავლე საქართველოსთვის“ და ქვეპროგრამას – „დისტანციური სწავლება.“

68 <https://www.geostat.ge/ka/mics-plus> (პირველი ტალღა).



დიაგრამა №5.2.1 პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ ბიუჯეტი და ხარჯი 2017-2020 წლებში



პროგრამის ფარგლებში ცენტრი სკოლებიდან იღებს ინფორმაციას კონკრეტულ საგნებში მასწავლებელთა დეფიციტის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხორციელდება საჭირო კადრის მოძიება სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით, ვაკანსიები რჩება შეუვსებელი. ქვემოთ მოცემულია წლების მიხედვით „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის ფარგლებში სკოლების მიერ მოთხოვნილი მასწავლებელთა ვაკანსიების რაოდენობა, რომლებიც ვერ შეივსო.

ცხრილი №5.2.1 2018-2022 წლებში შეუვსებელი ვაკანსიების ჯამური რაოდენობა

სასწავლო წელი	შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა
2021-2022	53
2020-2021	33
2019-2020	160
2018-2019	63

აღსანიშნავია, რომ 2020-2021 სასწავლო წელსა და 2021-2022 სასწავლო წელს პროგრამის ფარგლებში, პანდემიიდან გამომდინარე არ გამოცხადებულა მასწავლებელთა კონკურსი, შესაბამისად, ვერ შეივსო ვაკანსიები.

ყველაზე მეტი შეუვსებელი ვაკანსია დარჩა 2019-2020 სასწავლო წელს. მასწავლებელთა დეფიციტის პრობლემა ყველაზე მეტად სამ რეგიონში გამოიკვეთა. ესენია: გურია, მცხეთა-მთიანეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი, ხოლო საგნობრივ ჯრილში დეფიციტი აღინიშნება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და უცხოურ ენებში.



ცხრილი №5.2.2 2019-2020 სასწავლო წელს შეუვსებელი ვაკანსიები რეგიონებისა და საგნების მიხედვით

საგანი	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთ.	რაჭა-ლეჩხუმი	სამეგ./ზ. სვანეთი	სამცხე-ჯავ.	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	ჯამი
ბიოლოგია	1	1		1	1	2				6
გეოგრაფია				2		1	4			7
დანყებობა		1	2		1	1	1			6
ინგლისური	2	1			2	3	2	1		11
ისტორია						1				1
მათემატიკა	5	1	5	4	2	5	2	4		28
მუსიკა	2			4		3				9
რუსული	3	1	1	5	2	6	2			20
სპორტი			1	1	1	2	2			7
ფიზიკა	5	1	4	3	4	6	5	3	1	32
ქართული			1	2		3		2		8
ქიმია	1			2	2		2	1	1	9
ხელოვნება	5		4	4	1		2			16
ჯამი	24	6	18	28	16	33	22	11	2	160

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2018-2021 წლებში თითოეულ სასწავლო წელს პროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული დეფიციტის სავარაუდო გავლენა მოსწავლეთა რაოდენობაზე, რომლებსაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა ესწავლათ ის საგნები, სადაც ფიქსირდება კადრების დეფიციტი. შესაბამისად, შესაძლოა აღნიშნული სკოლის მოსწავლეები დარჩენილიყვნენ სასწავლო პროცესს მიღმა.

ცხრილი №5.2.3 2018-2021 წლებში საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა და იმ მოსწავლეების სავარაუდო რაოდენობა, რომლებიც გარკვეულ საგნებში შესაძლოა დარჩენილიყვნენ სასწავლო პროცესის მიღმა

სასწავლო წელი	მოსწავლეთა რ-ბა საჯარო სკოლებში	გარკვეულ საგნებში სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილ მოსწავლეთა სავარაუდო რ-ბა
2021-2022	564 416	2 736
2020-2021	548 773	893
2019-2020	529 671	8 137
2018-2019	522 409	3 350

აუდიტის ჯგუფმა ასევე გააანალიზა საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების მონაცემთა ბაზები (ემისის ინფორმაცია) და შეუდარა „ასწავლე საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში სკოლების მიერ მოთხოვნილ მასწავლებელთა შესახებ ინფორმაციას. რიგ შემთხვევებში პროგრამაში ფიქსირდება კონკრეტულ სკოლაში რომელიმე საგნის მასწავლებლის დეფიციტი, მაშინ როცა ემისის ინფორმაციით, აღნიშნულ სკოლაში არიან შესაბამისი საგნების მასწავლებლები. ცენტრის განმარტებით, მსგავსი შეუსაბამობა შესაძლოა გამოწვეული იყოს შემდეგი გარემოებით: იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ვერ უზრუნველყოფს



კვალიფიციური კადრის მივლინებას და სკოლა თავად მოიძიებს კადრს, სკოლა პროგრამას არ აწვდის ინფორმაციას. შესაბამისად, შესაძლოა სკოლამ აღმოფხვრას მასწავლებლის დეფიციტი, რაც აისახება ემისის მონაცემებში, თუმცა ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს ცენტრი და კონკრეტულ ვაკანსიას პროგრამის ფარგლებში აქვს შეუვსებელი ვაკანსიის სტატუსი. განსხვავებული ინფორმაციის არსებობა მიუთითებს განათლების სისტემის სხვადასხვა რგოლს შორის ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის ნაკლოვანებებზე.

რეგიონებში მასწავლებლის დეფიციტის პრობლემის აღმოსაფხვრელად, გარდა პროგრამისა „ასწავლე საქართველოსთვის“, ასევე ხორციელდება „დისტანციური სწავლების“ ქვეპროგრამაც.⁶⁹ ცენტრის ინფორმაციით, 2019-2020 სასწავლო წელს დისტანციური სწავლების საჭიროება და შესაძლებლობა დაფიქსირდა 28 სკოლაში, ჯამში: 382 ვაკანტურ საათზე, ხოლო 2020-2021 – წლისთვის 31 სკოლის – 389 საათზე, შემდეგ საგნებში:

- ფიზიკა
- ქიმია
- ბიოლოგია
- ბუნებისმეტყველება
- გეოგრაფია
- მათემატიკა
- ინგლისური ენა
- მეორე უცხოური ენა

2019-2020 სასწავლო წელს დისტანციური სწავლების ქვეპროგრამის ფარგლებში ჩართული იყო სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის 33 მასწავლებელი – 28 სკოლაში, ხოლო 2020-2021 სასწავლო წელს 33 მასწავლებელი – 31 სკოლაში.

გარდა იმისა, რომ ზოგიერთ სკოლაში არსებობს კონკრეტულ საგანში მასწავლებლის დეფიციტი, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ერთი მასწავლებელი ასწავლის სხვადასხვა არამომიჭნავე საგანს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის „ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კადრების მართვის ეფექტიანობის აუდიტის“ ანგარიშის მიხედვით, იმ მასწავლებლების უმეტეს ნაწილს, რომლებიც ასწავლიან სხვადასხვა არამომიჭნავე საგანს, კვალიფიკაცია მხოლოდ ერთ საგანში გააჩნიათ, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სწავლების პროცესის ხარისხზე.⁷⁰ საკითხი აქტუალურია მიმდინარე პერიოდშიც, ვინაიდან 2020-2021 სასწავლო წელს ქვეყნის მასშტაბით მასწავლებლების 6% (3,594 მასწავლებელი) ასწავლიდა მე-7 – მე-12 კლასებში სხვადასხვა არამომიჭნავე საგანს, მათ შორის, 241 მასწავლებელი – ქ. თბილისის სკოლებში. მაგალითად, რეგიონებში არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პედაგოგი ასწავლის ერთდროულად ბიოლოგიას, მათემატიკას და ქართულ ენასა და ლიტერატურას, ხოლო მეორე – ინგლისურ ენასა და ფიზიკას. ასევე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პედაგოგი ასწავლის 10-11 განსხვავებულ საგანს. აღნიშნული წარმოშობს სწავლა-სწავლების პროცესის არასათანადო ხარისხით წარმართვის რისკებს.

69 ცენტრის განმარტებით, როდესაც მთელი საქართველოს მასშტაბით საჭირო გახდა დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა (არა მხოლოდ იმ საგნების შემთხვევაში, სადაც მასწავლებელი არ მოიძებნა, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც იყო სკოლაში პირისპირ სწავლება), სამინისტროს გადაწყვეტილებით შეჩერდა პროგრამა; სკოლებს თავად აქვთ საშუალება, ცენტრის ჩარევისა და ცენტრთან ანგარიშვალდებულების გარეშე მოიძიონ მასწავლებელი, რომელსაც გაუფორმებენ ხელშეკრულებას და რომელიც დისტანციურად ჩაატარებს გაკვეთილებს.

70 <https://www.sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2016/tb-kadrebis-martva.pdf>



ცხრილი №5.2.4 ერთი მასწავლებლის მიერ არამომიჭნავე საგნების სწავლება

მასწავლებელი	საგანი
A	ბიოლოგია
	მათემატიკა
	ქართული ენა და ლიტერატურა
B	ინგლისური ენა
	ფიზიკა
C	ბიოლოგია
	გეოგრაფია
	ისტორია
	მათემატიკა
	უცხოური ენა
	ფიზიკა
	ქიმია

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ცენტრის მიერ ერთი და იმავე მიზნის – მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრის მიმართულებით ცენტრის განხორციელებული ორი პროგრამის ფარგლებში გახარჯული რესურსები და მიღწეული შედეგები. ვინაიდან დისტანციური სწავლება 2019 წლიდან ხორციელდება, ანალიზისთვის შერჩეულ იქნა 2019 და 2020 წლები. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია პროგრამების ხარჯებისა და მასწავლებელთა საშუალო ყოველთვიური ანაზღაურების შესახებ.

ცხრილი №5.2.5 მასწავლებელთა საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 2019-2020 წლებში

წელი	მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, საშუალოდ, ერთი თვის განმავლობაში	
	„ასწავლე საქართველოსთვის“	„დისტანციური სწავლება“
2019	1 000	251
2020	1 000	221

პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“ მასწავლებლების ანაზღაურება ხდებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ფიქსირებული თანხით, ხოლო „დისტანციური სწავლების“ ქვეპროგრამაში დასაქმებულ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება დამოკიდებული იყო მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობაზე.

გახარჯული ფინანსური რესურსების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ დისტანციური სწავლების განხორციელება, დაახლოებით, 4-ჯერ – 4,5-ჯერ უფრო ნაკლები ფინანსური რესურსით არის შესაძლებელი და შეუძლია უფრო მეტი კადრის მოძიება დეფიციტური ვაკანსიების შესავსებად, ვიდრე პროგრამას „ასწავლე საქართველოსთვის“, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოითხოვს მასწავლებელთა ფიზიკურ მივლინებას რეგიონებში, რაც ხშირად სირთულეებთანაა დაკავშირებული და ნაკლებად მიმზიდველია მასწავლებლებისთვის. ხოლო მეორე მხრივ, რეგიონებში დისტანციური სერვისის მიწოდება ქალაქში მცხოვრები მასწავლებლებისთვის შესაძლოა დამატებით მოტივატორად იქცეს, ვინაიდან საცხოვრებელი ადგილის შეუცვლელად ეძლევათ რამდენიმე სკოლაში სწავლების შესაძლებლობა. აღნიშნულს ადასტურებს აუდიტის ჯგუფის მიერ ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში დასაქმებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლების გამოკითხვები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 312 გამოკითხული



მასწავლებლიდან, 268-ს საკლასო ოთახში სწავლების პარალელურად, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ეწეებოდა სურვილი ჩაეტარებინა დისტანციური გაკვეთილები მაღალმთიანი რეგიონის მოსწავლეებისთვის. ამასთანავე, ემისის მონაცემების მიხედვით, თითქმის ყველა სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს დისტანციური სწავლების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ ონლაინ სწავლებაზე გადასვლა, როგორც წესი, შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური სწავლა/სწავლებით, ხოლო სასკოლო გამოცდილების სხვა ასპექტები რჩება პროცესს მიღმა. სასკოლო პროცესი მოსწავლეებს უვითარებს სოციალიზაციის უნარებს, შესაძლოა სთავაზობდეს სხვადასხვა კონსულტაციებს, ჯანმრთელობის სერვისებსა და კვების პროგრამებს. სკოლაში ყალიბდება მოსწავლის ეთიკა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა. მსგავსი საკითხები კი, როგორც წესი, არ არის გათვალისწინებული სკოლების ონლაინ ფუნქციონირებისას.⁷¹ მიუხედავად ამისა, როდესაც ვერ ხერხდება მოსწავლეების უზრუნველყოფა სათანადო ხარისხის განათლებით ყველა საგანში, დისტანციური სწავლება შესაძლოა პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად იქნეს მიჩნეული.

ამასთანავე, პანდემიის პერიოდში ზოგადი განათლების სისტემაში დაგროვდა გამოცდილება დისტანციური სწავლების მიმართულებით. ცენტრს პანდემიამდეც ჰქონდა დისტანციური სწავლების პროგრამა, თუმცა მცირე მასშტაბებზე იყო ორიენტირებული. შესაბამისად, იმ სკოლებში, სადაც არსებობს კონკრეტულ საგანში მასწავლებლის დეფიციტი ან კვალიფიციური⁷² კადრის ნაკლებობა და მასწავლებელთა მივლინება შეუძლებელია, მოსწავლეებისთვის საკლასო ოთახში ჩატარებული გაკვეთილების პარალელურად შესაძლებელია დეფიციტურ საგნებში დისტანციური სწავლების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების სრულფასოვან და საყოველთაო მიწოდებას.

დასკვნა

სამინისტროს არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება საგანგებო მდგომარეობის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები და მათი სავარაუდო გავლენა განათლების ხელმისაწვდომობასა და უწყვეტობაზე. რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, აუდიტის პერიოდისთვის არ იყო დაწყებული, სხვადასხვა სცენარისა და პროგნოზის პირობებში, პანდემიისა და დისტანციური სწავლების შედეგების შეფასების პროცესი.

სამინისტროს მიერ მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული პროგრამები სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს ყველა საგნისა და კლასის მასწავლებლით. შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეების გარკვეული რაოდენობა, მასწავლებლის დეფიციტის გამო ვერ იღებს სრულფასოვან ზოგად განათლებას.

ანალიზის შედეგად ჩანს, რომ დისტანციური სწავლების ქვეპროგრამა შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოს პროდუქტიულობა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა რეგიონებსა და დაშორებულ სოფლებში, როდესაც შეუძლებელია მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა მათი რეგიონებში მივლინების გზით.

71 <https://documents1.worldbank.org/curated/en/266811584657843186/pdf/Rapid-Response-Briefing-Note-Remote-Learning-and-COVID-19-Outbreak.pdf>

72 იგულისხმება მასწავლებელი, ვისაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლის.



ჩაკომენდაცია საშინისტროს

რეკომენდაცია №5

გაუთვალისწინებელი მოვლენების ზეგავლენის შემცირებისა და სისტემის სათანადოდ მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს საგანგებო გეგმა, რომლითაც განისაზღვრება ის ღონისძიებები და მათზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების უწყვეტობასა და მდგრადობას. ამასთანავე, პროგნოზისა და ანალიზის საფუძველზე შეფასდეს დისტანციური სწავლების შედეგები, მოსალოდნელი გავლენა და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.

ჩაკომენდაცია სწავლისა და საშინისტროს:

რეკომენდაცია №6

ყველა მოსწავლის ზოგადი განათლებით სათანადოდ უზრუნველყოფისა და რესურსების პროდუქტიული გამოყენების მიზნით, სისტემის სხვადასხვა ერთეულის⁷³ კოორდინაციის საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნეს ყველა ის სკოლა და საგანი, სადაც არ არის პედაგოგი ან კვალიფიციური⁷⁴ კადრის დეფიციტია. იმ პირობებში როდესაც არ არის მივლინებული მასწავლებელი, ასეთ საგნებში სათანადო პირობების უზრუნველყოფით, განხორციელდეს დისტანციური სწავლება.

73 სამინისტრო, ემისი, ცენტრი, საგანმანათლებლო რესურსცენტრები, სკოლები.

74 მასწავლებელს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლის.



ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №95/6 ბრძანება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №1988 ბრძანება „ზოგადი განათლების რეფორმის პროგრამა“;
- სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №302 ბრძანება ცენტრის 2020 წლის პროგრამების დამტკიცების შესახებ.

საერთაშორისო პრაქტიკა

- The World Bank Education Global Practice Guidance Note: Remote Learning & COVID-19
- Unicef – covid 19 effects of school closures on fundamental skills and promising practices for monitoring and mitigating learning loss
- ASIAN DEVELOPMENT OUTLOOK 2021 – FINANCING A GREEN AND INCLUSIVE RECOVERY
- OECD-the state of global education, 18 months into the pandemic

ვებგვერდები:

- <https://www.unicef-irc.org/publications/1144-covid19-effects-of-school-closures-on-foundational-skills-and-promising-practices.html>
- http://gov.ge/files/68_73407_808965_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%902019-2020.pdf
- http://gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf
- <http://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf>
- [https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20\(1\).pdf](https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20(1).pdf)
- <https://matsne.gov.ge/document/view/5128715?publication=1>




- <https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/the-impact-of-covid-19-on-student-equity-and-inclusion-supporting-vulnerable-students-during-school-closures-and-school-re-openings-d593b5c8/>
- <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34700>
- <https://www.worldbank.org/en/topic/edutech/brief/how-countries-are-using-edtech-to-support-remote-learning-during-the-covid-19-pandemic>
- <https://blogs.worldbank.org/education/educational-television-during-covid-19-how-start-and-what-consider>
- <https://oecdeditoday.com/wp-content/uploads/2020/09/Vietnam-Distance-Learning-Through-TV-Broadcasting.pdf>
- <https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/the-impact-of-covid-19-on-student-equity-and-inclusion-supporting-vulnerable-students-during-school-closures-and-school-re-openings-d593b5c8/>
- <https://www.sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2016/tb-kadrebis-martva.pdf>
- <https://documents1.worldbank.org/curated/en/266811584657843186/pdf/Rapid-Response-Briefing-Note-Remote-Learning-and-COVID-19-Outbreak.pdf>
- <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/33696/148198.pdf>
- https://read.oecd-ilibrary.org/view/?ref=1125_1125436-7j5hea8nk4&title=First-lessons-from-government-evaluations-of-COVID-19-responses

აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

ხელმოწერა

თამარ ზურაშვილი
უფროსი აუდიტორი



ლიკა გეგეჭკორი
აუდიტორი



ნინო ნიშნიანიძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი




სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE